მესხეთის უნივერსიტეტი

№9-10 (276) ნოემბერი-დეკემბერი, 2021 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

მეცენატი – უშრეტი მადლით!

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, კავკასიის უნივერსიტეტის რექტორს, მსოფლიო უნივერსიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტს, პროფესორ **კახა შენგელიას** საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა და დაჯილდოვდა უნივერსიტეტის მედლით.

ამ მნიშვნელოვან ფაქტს მიეძღვნა შეხვედრა, 8 დეკემბერს, რომელსაც ორივე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ესწრებოდა.

შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ დიდ სიკეთეზე, რაც კახა შენგელიამ გააკეთა იდეისთვის, ქვეყნისთვის, იმ დიდ ამაგზე, რომელიც მან გასწია საუნივერსიტეტო განათლებისთვის.

20 წელი გავიდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა კახა შენგელიას სახელი და იარსებებს მანამ, ვიდრე იარსებებს ჯავახეთში უნივერსიტეტი და მე მჯერა, ჯავახეთში უნივერსიტეტი მარადიული იდეაა. – იტყვის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე და ეს აზრი იქცევა შეხვედრის ლაიტმოტივად, შეხვედრის, რომელსაც „მადლიერების დღე“ უწოდა პირველმა მასპინძელმა.

გაგრძელება მე-3 გვ.

„თქვენი განვითარების მხარდაჭერა არის ჩვენი უმთავრესი ამოცანა“

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი **თეა ახვლედიანი,** სამუშაო ვიზიტით, სამცხე-ჯავახეთს ეწვია. ვიზიტი ახალციხის მუნიციპალიტეტში შეხვედრებით დაიწყო და გაგრძელდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მინისტრს ელოდნენ პროფესორები და სტუდენტები.

მინისტრთან და მის თანმხლებ პირებთან შეხვედრა პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. სტუმრებს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე მიესალმა. მან განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა იმ თანამშრომლობისთვის, რომელიც ყოველთვის იყო ძალიან აქტიური. **ჩვენ გვახსოვს თქვენი მინისტრად დანიშვნის პირველივე დღეებიდან უკვე ესტუმრეთ ახალქალაქს, ახალქალაქის კორპუსს და ძალიან საქმიანი, შედეგზე ორიენტირებული გახლდათ ჩვენი შეხვედრა. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა მობრძანებისთვის, უნივერსიტეტისადმი ამგვარი დამოკიდებულებისთვის.** – აღნიშნა რექტორმა.

გაგრძელება მე-2 გვ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში, რომელიც 31 იანვარს გაიმართება, მხოლოდ მოქმედი რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე მონაწილეობს. მას ოთხწლიანი ვადა ეწურება და თანამდებობის დაკავებას მეორე ვადით შეეცდება. რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო, ფარული კენჭისყრით. რვა წევრიდან საჭიროა 5 ხმა, კანდიდატი არჩეულად რომ ჩაითვალოს.

მაკა ბერიძემ სამოქმედო გეგმა აკადემიურ საბჭოს წარუდგინა განსახილველად. პროგრამა გააცნო აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს, მოეწყო მისი საჯარო განხილვა.

პროგრამა ქვეყნდება გაზეთის მე-6-7 გვ.

ჩარლი ჩაპლინის წერილი ქალიშვილს – ჯერალდინას

გვ.12

გალაკტიონი - 130 ვაჟა-ფშაველა - 160



უსეთესი მერმისის იმედით...

გვ.12

გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“ - უნივერსიტეტის თანატოლი

გვილოცავენ!

ვულოცავთ გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტს” დაარსებიდან 30 წლის იუბილეს. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის არსებობა უნივერსიტეტის, სადაც უმაღლესი ხარისხის განათლებას იღებენ ახალგაზრდები. ვულოცავთ გაზეთს და მის შემოქმედებით ჯგუფს 30 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმეში.

გესიკ ამირანაშვილი
სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი
სამცხე-ჯავახეთის მხარეში

გულითადად გილოცავთ გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ დაარსებიდან 30 წლის იუბილეს.

30 წელი არც ისე მცირე დროა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გზა თქვენ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, წარმატებით გაიარეთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს ქალაქში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობა, რომელსაც უდიდესი წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო სფეროს განვითარებასა და რეგიონისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებაში. ნლების მანძილზე, სწორედ თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ვეცნობით უნივერსიტეტში მიმდინარე საინტერესო და პოზიტიურ სიახლეებს.

თითოეულ ჟურნალისტს დიდი პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს და გისურვებთ პროფესიულ წარმატებებს.

ირაკლი ლაზარაშვილი
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

„მესხეთის უნივერსიტეტი“ – გაზეთი, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება უნივერსიტეტის ისტორიას, როგორც მემატიანე, აღწერს და ინახავს მისი არსებობის, განვითარების, წარმატებისა და სირთულეების ქრონიკებს.

უკვე უნიკალური და ისტორიული მნიშვნელობისაა გაზეთის 30 ნლის წინანდელი ფურცლები. ამ ფურცლებზე აღბეჭდილი ბევრი ფიგურა, მოვლენა თუ ფაქტი რაც დრო გადის, მეტად ფასდება. ერთი გამორჩეული თვისება აქვს გაზეთის მიერ შემონახულ ქრონიკებს – თხრობასთან ერთად ემოციას, გრძნობას, განცდას ინახავს, ყოველ ნომერთან შეხვედრისას ცოცხლდება გარდასული ეპოქა და ზუსტად ისევე იმუხტება მკითხველი ენერგიით, როგორც მაშინ, როცა იწერებოდა თუ იქმნებოდა ესა თუ ის ნომერი. ეს კი, ვფიქრობთ, გაზეთის შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმის დამსახურებაა, ნლების განმავლობაში რედაქტორების, ჟურნალისტების მონდომებული შრომის შედეგია. ბევრი მათგანი დღეს აღარ საქმიანობს უნივერსიტეტში, ისინი წარმატებული ადამიანები არიან სხვადასხვა სფეროში, თუმცა, დასაფასებელია მათი წვლილი.

ვულოცავთ „მესხეთის უნივერსიტეტს“ იუბილეს. განსაკუთრებით აღვნიშნავთ ქალბატონი მარინე ზედელაშვილის წვლილს გაზეთის განვითარებაში. ის დღესაც ჩვეული პროფესიონალიზმით უძღვება საქმეს. გაზეთის ყველა ნომერს ეტყობა ასევე ლიკა ზაზაშვილის კალმის კვალი. წარმატება მათ. წარმატება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რათა არასოდეს მოაკლდეს სათქმელი გაზეთს და დიდხანს ისაზრდოოს სტუდენტთა, პროფესორთა მაჯისცემაზე მიყურადებულმა.

მაკა ბერიძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

მიხარია, რომ მისალოცს ვწერ და ასეთ მნიშვნელოვან და ფუნქციურ გაზეთს ვუძღვნი მას.

„მესხეთის უნივერსიტეტი” ისეთი გამოცემაა, რომელიც მომავლის მაჯისცემით ფეთქავს და ძალიან მახარებს, რომ მისი ისტორია თავად უნივერსიტეტივით დღეგრძელი, გამძლე და ხარისხიანი გამოდგა! 30 წელიწადია, ჩვენ გვაქვს ფუფუნება, უწყვეტ რეჟიმში თვალი ვადევნოთ, როგორ დაიბადა, განვითარდა და წარმატებულად იქცა ეს განუზომელი მნიშვნელობის სასწავლებელი სამცხე-ჯავახეთში! ესაა მატიანე, რომელსაც დაუშრეტელი ენერგიით და პროფესიონალიზმით ქმნის მისი რედაქტორი ქალბატონი მარინე ზედელაშვილი, თავის უმცროს კოლეგებთან და თანამოაზრეებთან ერთად. დიდი ფუფუნებაა, 30 წლის განმავლობაში თვალი ადევნო ასეთ დინამიურ და მოქმედ საუნივერსიტეტო ცხოვრებას!

ვულოცავ ბატონ მერაბ ბერიძეს (ამ გაზეთის შექმნის იდეის ავტორს და დამფუძნებელს), ვულოცავ ქალბატონ მაკა ბერიძეს და ყველას, ვინც ჩვენი მხარის ცხოვრებას მძლავრ კალაპოტში მიმართავს და ანვითარებს. მიხარია, რომ მაქვს საშუალება, მოგილოცოთ ყველას, ბევრნი ხართ და კვლავაც იმრავლეთ გამარჯვებებისა და კეთილდღეობისათვის!

ნინო გლუაშვილი
ჟურნალისტი

„თქვენი განვითარების მხარდაჭერა არის ჩვენი უმთავრესი ამოცანა“

პირველი გვერდიდან

მინისტრმა თავის გამოსვლაში, მას შემდეგ, რაც მიესალმა დარბაზში მყოფთ – უნივერსიტეტის პროფესურას და სტუდენტებს, სამხარეო ადმინისტრაციისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, აღნიშნა, რომ მისი გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს თანამშრომლობა, ეს შეხვედრები შედგეს. **ის პოლიტიკა, რომელზეც სახელმწიფო მინისტრის აპარატი არის პასუხისმგებელი, ეთნიკური უმცირესობის ჭრილში, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით, შემდეგი ათი წლის განმავლობაში პრიორიტეტად აცხადებს ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდას, ახალგაზრდობის როლის წამოწევას ჩვენი პოლიტიკის განხორციელების პროცესში. თითოეულ ახალგაზრდას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ჩვენი ქვეყნის სიძლიერის წყაროს. ამიტომაც, თქვენი განვითარების მხარდაჭერა არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა.** – აღნიშნა ქალბატონმა თეამ და საუბარი განაგრძო სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებზე, 2022 წელს დაგეგმილ პროექტებსა და აქტივობებზე.

ჩვენ დავნერგეთ რამდენიმე სიახლე, რომელიც თავს იყრის ხუთი პრიორიტეტული მიმართულების გარშემო. – განაგრძო მინისტრმა. **– ამ ხუთ პრიორიტეტს შორის კი უმთავრეს ადგილზე არის სახელმწიფო ენის შესწავლა ინტეგრაციის მხარდასაჭერად. ყველა დანარჩენი პრიორიტეტი არის ურთიერთდაკავშირებული. იმისთვის, რომ მათი აღსრულება მოხდეს და მივაღწიოთ ჩვენს მიერ დასახულ მიზნებს და ამოცანებს, ამისთვის გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია, რომ ყველა ჩვენი თანამოქალაქე მეტყველებდეს სახელმწიფო ენაზე. მანამდე, ვიდრე ჩვენ მივაღწევთ ჩვენს ამბიციურ გეგმებს, ათი წლის თავზე, საქართველოში ყველა მოქალაქეს (ეთნიკურ უმცირესობებზე მაქვს საუბარი) ვინც დაამთავრებს საშუალო სკოლას, მათგან 99,5 პროცენტს ეცოდინება ქართულ ენაზე წერა, კითხვა და კომუნიკაცია. ქართული ენის შესწავლა დაიწყება სკოლამდელი განათლების დონიდან და ეტაპობრივად ყველა სკოლაში დაინერგება ორენოვანი განათლების სისტემა, რომელიც გაგვიყვანს იმ მაჩვენებელზე, რომელიც მიზნად დავისახეთ.**

მინისტრმა, ასევე, დღეისათვის მნიშნელოვან და პრობლემურ თემას მიაპყრო დამსწრეთა ყურადღება, კერძოდ, ქვეყანაში შექმნილ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებულ ვითარებას და ვრცლად ისაუბრა მიმდინარე ვაქცინაციის პროცესის მნიშვნელობაზე.

უნივერსიტეტის რექტორმა შეხვედრის მონაწილეთ გააცნო ინფორმაცია ახალქალაქის მე-4 კორპუსის შესახებ. დარბაზს მოახსენა, რომ ახალქალაქში, დაგეგმილი 10 პროგრამიდან, 5 პროგრამაზე პროფესიულ განათლებაში, უნივერსიტეტმა უკვე მიიღო სტუდენტები და რომ მათ უკვე დაიწყეს სწავლა ქართული ენის მოსამზადებელ კურსზე. მისი ღრმა რწმენით, 2022 წელში მე-4 კორპუსის რეაბილიტაცია საბოლოოდ დასრულდება სექტემბერში და მოხდება სტუდენტების მიღება დარჩენილ ხუთ პროგრამაზეც.

არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო დღევანდელ შეხვედრას. ამ ტიპის შეხვედრები არის ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი. – ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ. – რისთვის არის უნივერსიტეტი, თუ არა იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაზეც ჩვენ დღეს ვსაუბრობთ?! ჩვენი მისია სწორედ ეს იყო, ამისთვის ჩამოვყალიბდით. მე შემიძლია, სიამაყით ვთქვა, რომ 90 წლის შემდეგ უნივერსიტეტზე დიდი ძალა არ არსებობს სამცხე-ჯავახეთში, ძალა, რომელმაც სამცხე-ჯავახეთს ახალგაზდები დაუტოვა ადგილზე. გნებავთ სომხები, გნებავთ ქართველები. მართალმა და პატიოსანმა დამოკიდებულებამ მოიყვანა ურთიერთობები აქამდე. ბავშვები ჩვენს ურთიერთობებს რომ უყურებენ, ისინი ამას სწორად აღიქვამენ. დიდი მადლობა დღევანდელი შეხვედრისთვის. მინდა შევეხო ორ მთავარ საკითხს, რომელიც მინისტრმა დააყენა ამ შეხვედრაზე – უწყვეტია ჩვენი ურთიერთობა, ჩვენი ფიქრი გაგრძელდება. იდეები, მოსაზრებები, რომელიც დაიბადება ჩვენში, უნდა წარვუდგინოთ მათ.**

მეორე პრობლემა, რომელიც თქვენ წამოსწიეთ, არის ორმხრივობა და ეს არ იქნება მხოლოდ იმ მოსახლეობის დახმარება, რომელმაც უნდა ისწავლოს ქართული. ჩვენ ერთადა ვართ. ჩვენთვის კომფორტულია, მიჩვეული ვართ ამ ყველაფერს და ვართ მთელი მეოცე საუკუნე ასე. მე იმის თქმა მინდა, რომ ყველაფრის გათვალისწინებაა საჭირო, ცალმხრივი მიმართულება რომ არ იყოს.

სტუდენტებმა სახელმწიფო მინისტრს საკუთარი ხედვები და მოსაზრებები გაუზიარეს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების პროცესთან დაკავშირებით. შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა, საუბარი და მსჯელობა შეეხო სხვადასხვა აქტუალურ თემებსა და მიმდინარე პროცესებს, სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

ანთიმოზ ივერიელი – ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 13 ნოემბერს, გაიმართა ვორქშოფი-სემინარი **„ანთიმოზ ივერიელი – ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“.** შეხვედრაზე პროექტის განმახორციელებელმა ჯგუფმა წარადგინა კვლევის შედეგები და დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გზები. სემინარს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები ესწრებოდნენ.

პროექტი ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ, რომელსაც ფინანსურად მხარს უჭერს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

პროექტის განმახორციელებელი ჯგუფია: ხელმძღვანელი – ასოცირებული პროფესორი **ანასტასია ზაქარიაძე**, კონსტანცის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; კოორდინატორი – **გიორგი გრიგოლაშვილი**, ფილოსოფიის დოქტორანტი; ასოცირებული პროფესორი – **ირაკლი ბრაჭული**; თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ეთიკისა და რელიგიის ფილოსოფიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი – **დემურ ჯალაღონია**; თეოლოგიის დოქტორი, დეკანოზი – **ალექსი ქშუტაშვილი**; თსუ-ს მოწვეული პროფესორი – **ვალერიან რამიშვილი**; ფილოსოფიის დოქტორი, ბუქარესტის უნივერსიტეტის პროფესორი – **ვიორელ ვიზურენაუ.**

პროექტი მიზნად ისახავს ანთიმოზ ივერიელის შემოქმედების ფუნდამენტურ შესწავლას და ანალიზს. ივერიელის ნაშრომებიდან გამომდინარე კვლევა ინდერდისციპლინარულია და მიმდინარეობს ფილოსოფიის (მორალის, პოლიტიკის, ისტორიის ფილოსოფიის, ანთროპოლოგიის და ონტოლოგიის) ფილოლოგიის და ისტორიის (ეკლესიის ისტორია) მიმართულებით.

მეცნიერების განმარტებით (როგორც მკვლევარები ამბობენ), ანთიმოზ ივერიელი წარმოშობით სოფელ უდიდანაა. იგი მნიშვნელოვანია არა მარტო ამ კუთხისთვის, არამედ საქართველოსთვის, რადგან ამ დონის მოაზროვნე, ღვთისმეტყველი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, სახელმწიფო მოღვაწე, საზოგადო მოღვაწე არ ჰყოლია დასავლეთში ქართველი ადამიანი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს, რომ ქართველმა გაიცნოს ანთიმოზი. აქამდე მხოლოდ ერთი წიგნი იყო გამოქვეყნებული, ბიოგრაფიული. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მეცნიერებმა შეძლეს მონოგრაფიის გამოცემა, სადაც არის ანთიმოზ ივერიელის თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნააზრევი წარმოჩენილი. ასევე, ითარგმნა პირველ ტომში ანთიმოზის ქადაგებები, სხვადასხვა ეპისტოლეები, ხოლო ახლა, უკვე მეორე ტომში, ის, რაც იყო დარჩენილი – პოლიტიკური ტრაქტატები, სხვადასხვა წერილები, ითარგმნა უკვე ქათულად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დასავლეთი არ იცნობს ანთიმოზს, რადგან მისი ნაშრომები, ტრაქტატები თარგმნილი არაა რომელიმე უცხო ენაზე. ამ პროექტით შესაძლებელი გახდა ანიმოზის სამენოვანი გამოცემა (პარალელური ტექსტები) – ქართულად, რუმინულად და ინგლისურად. ამით უკვე შესაძლებლობა ექნება ყველა დასავლურ მოღვაწეს, ვინც დაინტერესებულია ანთიმოზით, გაეცნოს ამ წიგნს. ამავე დროს, გამოვა მეორე ტომი ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიური, თეოლოგიური ანალიზი ქართველი მკვლევარების მიერ. ამ ნაშრომების წარმოჩენით მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ანთიმოზ ივერიელი არა მარტო საქართველოში.

შეხვედრის მონაწილეთ, როგორც სტუმრებს, ასევე მასპინძლებს, ჰქონდათ საშუალება, ერთმანეთისთვის გაეცნოთ საკუთარი მოსაზრება პროექტის მიმდინარეობასა და დიდი ქართველის შესახებ.

დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა სამომავლო ურთიერთობებს შეუწყობს ხელს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ფრანგული ენის შემსწავლელი კურსი გაიხსნება. ინიციატივის შესახებ უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** საქართველოში საფრანგეთის საელჩოსთან არსებული ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ისაუბრა. მისი აზრით, ეს დაეხმარება ახალგაზრდებს, რომ ჯერ ენა, შემდეგ კი – ფრანგულ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამებით ისწავლონ.

საფრანგეთში სწავლის, სასტიპენდიო პროგრამებისა და ჩარიცხვის პროცედურების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს საუნივერსიტეტო და სამეცნიერო თანამშრომლობის ატაშემ **ნასტასია დომპსიმ** გააცნო. მათ აქვთ როგორც ერთწლიანი, ისე ორწლიანი სამაგისტრო პროგრამები. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში, საქართველოდან 150-200 სტუდენტი მიემგზავრება, დაახლოებით. მათ შორის ჯერ არ ყოფილა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

უნივერსიტეტის რექტორმა ფრანგულ უნივერსიტეტებთან სამეცნიერო ღონისძიებებში თანამშრომლობის პერსპექტივაზე ისაუბრა. საგანმანათლებლო დაწესებულება ფრანგულ ინსტიტუტთან სამი მიმართულებით ითანამშრომლებს – ქართველოლოგია, ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა და ვეტერინარიის მიმართულება. შეხვედრის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა და ნასტასია დომპსიმ შთაბეჭდილება გაუზიარეს ჟურნალისტებს.

ნასტასია დომპსი: დღევანდელი შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისთვის მიგვეწოდებინა დეტალური ინფორმაცია, ზოგადად, საფრანგეთში სწავლის შესახებ, ასევე, სასტიპენდიო პროგრამებისა და ჩარიცხვის პროცედურების შესახებ. გვიხარია, მათთან შეხვედრის შესაძლებლობა რომ მოგვეცა, გვიხარია, ასევე, ამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები. შეხვედრა იყო ძალიან საინტერესო.

სასტიპენდიო პროგრამის ძირითადი მიზანია, დააფინანსოს საუკეთესო ქართველი სტუდენტები, რომლებსაც ექნებათ მაღალი აკადემიური მოსწრება და მას შემდეგ, როდესაც ისინი გაივლიან კონკურსს, შერჩეულ სტუდენტებს სასტიპენდიო პროგრამა სთავაზობს სწავლის საფასურის გადახდას, ასევე, ყოველთვიური სტიპენდიის გადახდას, რაც მათ საშუალებას მისცემს, ადგილზე იცხოვრონ და ისწავლონ შესაბამის პირობებში.

მაკა ბერიძე: ძალიან მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის საელჩოსთან არსებული ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლების სტუმრობა. სწორედ საუნივერსიტეტო და სამეცნიერო მიმართულების ატაშე ბრძანდება დღეს ჩვენთან სტუმრად. ჩვენს უნივერსიტეტში, რომლისთვისაც აუცილებელია ინტერნაციონალიზაცია და ეს არის ძალიან პრიორიტეტული და, ამავე დროს გამოწვევა, როგორც რეგიონის უნივერსიტეტისთვის, ნებისმიერი საერთაშორისო კონტაქტი არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. ამიტომ ამ ვიზიტს განვიხილავთ, როგორც სერიოზულ შესაძლებლობას, რომ დავამყაროთ კონტაქტი საფრანგეთის უნივერსიტეტებთან. ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე წინადადება, რომლითაც მივმართავთ საფრანგეთის ინსტიტუტს დახმრებისთვის. მთავარი და უმნიშვნელოვანესი გახლავთ ის, რომ დღეს ონლაინ სივრცე და დისტანციური რეჟიმი გვაძლევს საშუალებას, თუნდაც, რეგიონის უნივერსიტეტიდან გავუზიაროთ ჩვენს კოლეგებს ჩვენი მიღწევები და მოვისმინოთ მათი მოსაზრებები ნებისმიერი მიმართულებით. ამ ეტაპზე ჩვენ ვაგრძელებთ თანამშრომლობას სამი მიმართულებით: პირველი იქნება ქართველოლოგიის მიმართულება. ყველა უნივერსიტეტი, რომელიც ქართველოლოგიის მიმართულებით მუშაობს საფრანგეთში, გამოვნახავთ მათთან კონტაქტებს. მეორე – სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, ასტრონომიის მიმართულებით გავესაუბრებით და დავსახავთ გეგმებს, და მესამე – ეს არის ვეტერინარიის მიმართულება. აი, ამ სამი მიმართულებით ჩვენ გავაგრძელებთ სერიოზულ მუშაობას და შემდგომ გამოჩნდება, რა თქმა უნდა, კონკრეტული მიმართულებები. ასე რომ, დღევანდელი შეხვედრა იყო ძალიან კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული და მას უმნიშვნელოვანეს შეხვედრად ვაფასებთ.

სტუდენტებისთვის ფრანგული შემსწავლელი კურსი გაიხსნება

მეცენატი – უმრეტი მადლით!

8 დეკემბერი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილები ელოდებიან სტუმარს, რომელსაც უმრავლესი მათგანი არ იცნობს, მაგრამ სმენია მისი მადლიანი საქმეების შესახებ. მეც პირველად ვხვდები. მხოლოდ მერაბ ბერიძის სტატიებითა თუ ინტერვიუებით, რომლებიც იბეჭდებოდა უნივერსიტეტის გაზეთში (და არა მხოლოდ), ვიცნობ მას.

დიდია მოლოდინი. და აი, ისიც – **კახა შენგელია**, კავკასიის უნივერსიტეტის რექტორი, მსოფლიო უნივერსიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი, თავის კოლეგებთან ერთად. ძველი ნაცნობები და მეგობრები სიყვარულით ეხვევიან, ჩემგვარნი კი აღტაცებული მზერით შევყურებთ, როგორც მითოსიდან რეალობაში გადმოსულ გმირს. გადაჭარბებული რომ არაა ჩემი ნათქვამი, მიხვდებით იმ ამბის მოსმენის შემდეგ, რომელიც ითქვა იმ დღეს, მადლიერების დღე რომ უწოდა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ**. ამბავიც მან დაიწყო და დაიწყო ასე:

დღეს ბატონი კახას სტუმრობით მადლიერების დღეა ჩვენს უნივერსიტეტში, მადლობის თქმის დღეა და ეს ჩვენ სხვა სულიერებით აღგვავსებს. ეს არის ადამიანი, რომელმაც იდეისთვის, ქვეყნისთვის, სამშობლოსთვის, საუნივერსიტეტო განათლებისთვის, ახალგაზრდების განათლებისთვის ჯავახეთში ჩამოიყვანა სტუდენტთა ჯგუფი, დააფინანსა სწავლის გადასახადით, უზრუნველყო სპეციალური სტიპენდიით, შეუძინა ბინები და საკუთრებაში გადასცა. იდეა, რისთვისაც ჯავახეთის ფილიალი გაიხსნა, იყო განათლება და ქართველი და სომეხი მოსახლეობის ინტეგრაციის ხელშეწყობა, ისეთი გარემოს შექმნა, რომ თავად უნივერსიტეტშიც ყოფილიყო ქართული ენის მოხმარების სივრცე. ამისთვის იყო საჭირო, იქ ქართველ სტუდენტებსაც ესწავლათ.

ქალბატონმა მაკამ იმ პერიოდზე გაამახვილა ყურადღება, როდესაც დაიწყო ფუნქციონირება ჯავახეთის ფილიალმა. ეს იყო ურთულესი წლები ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც. უამრავი წინააღმდეგობისა და სირთულის მიუხედავად, ჯავახეთში საგანმანათლებლო კერის დაარსების იდეის განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო გაზიარებული, რომ ამ იდეას გამოუჩნდა მხარდამჭერები. ასეთი ადამიანი გახლავთ ბატონი კახა. იგი არა მარტო მხარში დაუდგა ამ იდეას, არა მარტო გაიზიარა ეს იდეა, არამედ მის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა. ჯავახეთს დარჩა ისტორია კახა შენგელიას ძალიან დიდი ადამიანობის. **ბატონო კახა, მინდა მოგახსენოთ, რომ იდეა, რომელიც დაიწყო ბატონმა მერაბმა და მერე მხარი თქვენ დაუჭირეთ, მართლაც, ბევრი თაობის გამომზრდელია უკვე. მინდა, განსაკუთრებული მადლობა მოგახსენოთ არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტის, საერთოდ, საუნივერსიტეტო სივრცის სახელით, ყველა სტუდენტის სახელით, რომელსაც მიეცა განათლების მიღების საშუალება და რომელიც მოწმე გახდა ამ სამაგალითო საქციელის. ჩვენში ამბობენ, დიდებული ადამიანები უძეგლოდ იკარგებიანო. მე კი გეტყვით – დიდი ძეგლი დგას ჩვენს უნივერსიტეტში თქვენი დიდი ადამიანობის. მადლობა ამისთვის. დღეს თქვენი დღეა. ჩვენ ვეცდებით, რომ ღირსეულად გითხრათ მადლობა.**

მიუხედავად დიდი სირთულეებისა, ეს იყო ბედნიერი წლები, ჩემო მეგობრებო, – მისალმების შემდეგ ასეთ სიტყვით მიმართა პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** აუდიტორიას. – **90-იანი წლებიდან მოყოლებული, იდეა მუშაობდა, მუშაობდა ქვეყნის სიყვარულის იდეა, სამშობლოს იდეა. ამას დიდი შედეგი მოჰყვა საბოლოოდ. ეს იყო დიდი ცნობიერების ნაწილი. ეს ყველაფერი მაშინ გვაძლევდა ჩვენ ძალიან სერიოზულ სტიმულს. იდეა თბილისი-ახალციხე, ახალციხე-ახალქალაქი, შესრულდა 2002 წელს. თბილისიდან ჩამოსული პროფესურა იღვწოდა ახალციხეში, შემდეგ უკვე ახალციხემ გაზარდა თავისი სტუდენტობა და წავიდნენ ისინი ახალქალაქში.**

ბატონმა მერაბმა ვრცლად ისაუბრა იმ სირთლეებზე, რომელიც ეხებოდა სწავლების ენის პრობლემას. როგორც მან აღნიშნა, ორ წელიწადს გრძელდებოდა კონსულტაციები ამ საკითხზე. ბოლოს, ყველაფერი დადებითად გადაწყდა. ამ საქმეში სერიოზული მხარდაჭერა იყო თსუ-ს რექტორის, ბატონი **როინ მეტრეველის.**

მან აღნიშნა, რომ 1990 წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახსნილი 8 ფილიალიდან დღეს არცერთი აღარ არსებობს, ჩვენს გარდა: **ჩვენი ფილიალობიდან ორი ფილიალი შევქმენით – ახალციხის და ახალქალაქის, შემდეგ გაერთიანდა ეს ფილიალები და დღეისთვის ჩამოყალიბებული ვართ, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოში, ჯერჯერობით, მსგავსი პრეცენდენტი, ასეთი მოთამაშე ჩვენს საუნივერსიტეტო სივრცეში, არ ყოფილა, ფილიალობიდან რომ დაეწყო, გადასულიყო სასწავლო უნივერსიტეტამდე, მერე სასწავლოდან სახელმწიფო უნივერსიტეტის რანგში ასულიყო თავისი სადოქტორო და სხვა პროგრამებით. ეს მხარში დგომის ძლიან მნიშვნელოვანი შედეგია. გეფერებით, ბატონო კახა, თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს სიკეთეებს. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ თქვენ არა ხართ ჩვენთვის საჭირო, ჩვენც ვართ თქვენთვის საჭირო, ჩვენც შეგვიძლია რაღაც-რაღაცებში მხარში დგომა. ამ ურთიერთობებით კიდევ უფრო მეტი საქმე გაკეთდება ჩვენს ქვეყანაში, რადგან ჩვენს უნივერსიტეტს ისეთი ლიდერი ჰყავს და ისეთი ლიდერია დღეს ჩვენი სტუმარი, რომელიც გახლავთ მსოფლიო უნივერსიტეტთა ასოციაციის პრეზიდენტი და ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. სხვაგვარი შეხედვა უნდა, სხვაგვარი დაფასება უნდა ამას და ჩვენც სხვაგვარად გაფასებთ. დიდი მადლობა მობრძანებისთვის.**

შემდეგ სიტყვა დაეთმო პროფესორ **როინ ყავრელიშვილს,** რომელიც ყარსის კავკასიის უნივერსიტეტიდან ჩაერთო შეხვედრაში. ბატონი როინი, მერაბ ბერიძესთან ერთად, ჯავახეთში ფილიალის გახსნის ურთულესი პროცესების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო. მან მადლობა მოახსენა უნივერსიტეტის რექტორს ასეთი შესანიშნავი იდეისთვის და გადაწყვეტილებისთვის – მოეწვია კახა შენგელია, მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად, რათა გამოეხატათ მადლიერება მისი კეთილი საქმეებისთვის: **დიდი ხანია, ვიცნობთ ჩვენ ერთმანეთს, ნამდვილად ღირსეული პიროვნება გახლავთ. მისი დამოკიდებულება ჯავახეთის ფილიალისადმი იმ დროს იყო განსაკუთრებული. რატომ განსაკუთრებული? შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ადამიანი გამოჩნდებოდა ხოლმე, რომლებიც იტყოდნენ რაღაც სიტყვას, ზოგი აკეთებდა საქმეს, ზოგი არა, მაგრამ ბატონი კახას დამოკიდებულება არა მხოლოდ ფილიალისადმი, არამედ ჯავახეთისადმი იყო განსაკუთრებული. მაშინდელმა მისმა თანადგომამ ბევრი რამ შეცვალა, პირველ რიგში, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, მორალური თვალსაზრისით. ბევრს დაანახა, ორივე თემის წარმომადგენლებს, რომ ეს საქმე მხოლოდ რამდენიმე კაცით არ წყდებოდა. ეს იყო საქვეყნო საქმე და ამაში ბევრს უნდა გამოეჩინა თანადგომა. მე ვამაყობ და მიხარია, რომ ჩვენ ყველამ ერთად მოვახერხეთ ის, რაც დღეს გვაქვს ჯავახეთში. ეს არის სომხურსკოლადამთავრებული ახალგაზრდების უკვე კონკურსი ჩვენს უნივერსიტეტში და მათი სწავლება სახელმწიფო ენაზე. ბევრი ნაბიჯი გადაიდგა, ბევრი სიძნელე იქნა დაძლეული, ბევრი პროგრამა განხორციელდა. იდეა, რომელიც ბატონ მერაბს ეკუთვნის, ყველამ ერთად განვახორციელეთ.**

ბატონმა როინმა ისაუბრა იმის შესახებაც, რომ კახა შენგელიას დამოკიდებულება მხოლოდ ერთი მიმართულებით – უნივერსიტეტისადმი თანადგომით არ გამოიხატება და რომ მნიშვნელოვანია მისი ურთიერთობა ჯავახეთის ადგილობრივ თემთან. თავის დროზე, ჯავახეთიდან რამდენიმე ახალგაზრდამ კავკასიის უნივერსიტეტი დაამთავრა, მიიღეს განათლება, დაბრუნდნენ და დასაქმდნენ ახალქალაქში, რაც ძალიან ბევრს ნიშნავდა ჯავახეთისთვის და, ზოგადად, სამხრეთ საქართველოსთვის. **კიდევ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ბატონი კახას დიდი სიყვარული ტაო-კლარჯეთისადმი, რაზეც მეტყველებს მისი თაოსნობით განხორციელებული ექსპედიციები და მისი გამოცემული წიგნები.** – განაგრძო საუბარი ბატონმა როინმა. – **მან, პროფესორ ვალერი სილოგავასთან თანაავტორობითაც და ცალკეც გამოსცა წიგნი ტაო-კლარჯეთზე. აი, ასეთი კაცი სტუმრობს დღეს ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს და მე მას მინდა ვუსურვო, ერთი – ათასად უქციოს სიკეთე, რაც მას უკეთებია და კვლავაც გააკეთებს ამ ქვეყანაზე.**

ბატონი კახას ამაგის დიდ მნიშვნელობაზე ისაუბრეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრებმა, პროფესორებმა: **მაკა შონიამ, რევაზ ჭიღლაძემ, ნელი ბერიძემ, თემურ არეშიძემ, რაისა ხაჩატურიანმა.**

მაკა შონია: დღეს ჩვენს უნივერსიტეტში თბილი, გულითადი, კოლეგიალური დღეა. უნივერსიტეტი პატივს მიაგებს თავის ერთგულ მოკავშირეს და გამოხატავს დიდ პატივისცემას ასეთი ძვირფასი სტუმრისადმი. გვიმრავლოს სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს, ქართულ საზოგადოებას ასეთი მოკავშირეები, ასეთი შემოქმედებითი ნიჭით აღვსილი ადამიანები, რომლებსაც უყვართ თავიანთი საქმე და თავისი დრო და გულის სითბო არ ენანებათ არც ადამიანებისთვის, არც თავისი სამშობლოსათვის. ძვირფასო ბატონო კახა, გულითადად გისურვებთ წარმატებებს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ოჯახთან ერთად, და კიდევ – ძალიან დიდხანს გეკეთებინოთ თქვენი დიდი საქმეები, რაც ქართულ საზოგადოებას და თქვენს მეგობრებს, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის სახით, ესოდენ გვჭირდება.

ემოციური იყო მისალმება ჯავახეთის ფილიალის კურსდამთავრებულის **გურამ ფულარიანის**, რომელმაც გაიხსენა სტუდენტური ხანა და ის მადლი, რაც მან და სტუდენტთა დიდმა ჯგუფმა მიიღო ბატონი კახას მხრიდან.

დიდი ქველმოქმედის ნაღვაწის დაფასებაში მასპინლებს არ ჩამორჩნენ კოლეგები კავკასიის უნივერსიტეტიდან. ყოველი მათგანის გამოსვლაში იგრძნობოდა სიყვარული და პატივისცემა გამორჩეული უნივერსიტეტის გამორჩეული და ღირსეული ლიდერის მიმართ, რომლის გვერდით ყოველდღიური შრომა მათ ბედნიერებას ანიჭებთ.

შეხვედრის კულმინაციად იქცა წუთები, როდესაც მაკა ბერიძემ გამოაცხადა კახა შენგელიასთვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისა და უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოების შესახებ. ამაღელვებელი და ძალზე ემოციური იყო დაჯილდოების ცერემონიალი დარბაზში მყოფთათვის და თვით შეხვედრის მთავარი გმირისთვის, ადამიანისთვის, რომელიც ცხადლივ თუ ფარულად, ერთთავად ქველმოქმედებაში და მოწყალებაში ატარებს თავის ცხოვრებას.

კახა შენგელიამ მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, აკადემიურ საბჭოს ასეთი მაღალი ჯილდოსთვის, ასეთი დიდი ყურადღების გამოვლენისთვის. მადლობა გადაუხადა შეხვედრის ყველა მონაწილეს და აღნიშნა, რომ მის მეხსიერებას წარუშლელად შემორჩება ეს არაჩვეულებრივი ურთიერობით გამთბარი დღე.

მინდა, რეპორტაჟის მსგავსი წერილი ერთი ფრაზით დავასრულო: ბატონო კახა, თქვენი სიკეთის შესახებ კიდევ მრავალჯერ ითქმება, კიდევ მრავალი ჯილდოთი აღინიშნება იგი, რადგან თქვენ ემსახურებით მაღალ იდეალებს, საქმეს, რომელსაც არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

მარინე ზედელაშვილი

საერთაშორისო სიმპოზიუმი

„უნდა მოვიქცეთ ისე, რომ მომავალმა თაობამ ჩვენზე ცუდი არ თქვას“

ვესაუბრებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს, პროფესორ მერაბ ბერიძეს

– ბატონო მერაბ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელზეც მიწვეული იყავით თქვენ და რექტორი, ქალბატონი მაკა ბერიძე. თქვენ ენათმეცნიერები ხართ. სიმპოზიუმის თემა კი ეხებოდა საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს XX საუკუნეში. რით იყო განპირობებული თქვენი მიწვევა?

– ისტორიკოსთა სიმპოზიუმზე ჩვენი მიწვევა განპირობებული იყო ორი ფაქტორით. პირველი – ჩვენმა უნივერსიტეტმა ჩაუყარა ამ შეხვედრებს საფუძველი და მეორე – ჩვენი მოხსენება ეხებოდა მუსლიმ ქართველებს, რომელთაც „თურქი მესხებით” იცნობენ დღევანდელი მეცნიერები.

– მეცნიერები ხშირად მიმართავენ ერთობლივი ნაშრომების გამოცემას, ერთობლივი მოხსენების წარდგენას. რა განაპირობებს ერთობლივი მოხსენებების დაწერის სურვილს? რატომ? ისიც საინტერესოა – რომელი მეცნიერი რა დოზით მონაწილეობს ასეთი ნაშრომის შექმნის დროს. თუ შეგიძლიათ, თქვენი ერთობლივი მოხსენების მაგალითზე, ვისაუბროთ ამ საკითხის გარშემო.

–ერთობლივი ნაშრომის შექმნა საინტერესოც არის და მასშტაბურიც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერები თავიანთი შესაძლებლობებით ავსებენ ერთმანეთს. ჩვენი ურთიერთანამშრომლობა სამეცნიერო სფეროში, ძირითადად, დაკავშირებულია თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებასთან და ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მოხმარებასთან, რაშიც განსაკუთრებით წარმატებულია პროფესორი მაკა ბერიძე. ამასთანავე, ჩვენთვის უკვე პრინციპულად ახლობელია მაჰმადიან მესხთა საკითხი. მე წიგნი მაქვს ამ საკითხზე გამოცემული, ქალბატონ მაკას აქვს შრომები ამავე თემაზე. ჩემი რექტორობის დროს შემოვიდნენ და ჩაირიცხნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დეპორტირებულ მესხთა შთამომავალი ახალგაზრდები. მათთან ერთად გვიწევდა საქმიანობა როგორც მომზადების, ისე სწავლის პერიოდში. ამიტომ, ჩვენი კვლევა ისტორიკოსებისათვის საინტერესო აღმოჩნდა.

– თუ შეიძლება, გავშალოთ თქვენი მოხსენების თემა და, უშუალოდ, მასზე გვესაუბროთ.

– მესხების საკითხი გასცდა საქართველოს ისტორიის ფარგლებს და მას მრავალი მეცნიერი იკვლევს. „აღმოჩნდა”, რომ მესხების ისტორია მსოფლიო ისტორიის ნაწილია, დაკავშირებულია მესხეთიდან გადასახლებულ მუსლიმთა პრობლემასთან. ჩვენი მეზობლები იმისთვის, რომ არ აღიარონ მაჰმადიან მესხთა ქართველობა, არ დაუკავშირონ მათი იდენტობა ქართულ ძირებს, ცდილობენ, თვითონ მესხთა პრობლემა დააკავშირონ თავიანთ თურქულ სამყაროსთან. საამისო არგუმენტაცია ნაკლებია, მაგრამ პოლიტიკის გავლენა დიდია. ჩვენს პოზიციას დასაბუთება და ოპონენტებთან სჭირდება მიტანა. ამიტომ, ჩვენი მოხსენება – ტერმინი **„მესხი – მესხეთელი თურქების ისტორიისათვის“,** საინტერესო გამოდგა მსმენელთათვის იმდენად, რომ კამათი, თითქმის, ორ საათს გაგრძელდა.

არ შეიძლება, არა ვთქვა პროფესორ **როინ ყავრელიშვილის** შესახებ, რომელიც სიმპოზიუმის სული და გული იყო. ის თარგმნიდა ძირითადად მოხსენებებს პარალელურ რეჟიმში. ეს გახლდათ მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული თარგმანი იმდენად, რომ არ იგრძნობოდა ენის სხვადასხვაობა. მომხსენებლისთვის იქმნებოდა სრული კომფორტი. დიდი იყო მისივე როლი სიმპოზიუმის ორგანიზებაში. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ როინი აირჩიეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ჩვენი მოხსენების მთავარი შედეგი გახლდათ აზრი, რომ მესხების იდენტურობის თაობაზე საჭიროა ერთობლივი კვლევის ჩატარება, ჩვენი და თურქების მონაწილეობით.

– როგორია თქვენი მოლოდინი, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ერთობლივი კვლევების ჩატარებას?

– წინასწარ არ ღირს საუბარი, მაგრამ ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. საქართველოდან დეპორტირებულმა მუსლიმებმა აღიარონ და იცოდნენ, რომ ისინი არიან ქართველები ფესვებით, გენეტიკით. დღეს რომ თურქობენ, ეს მათი საქმეა, მათ შორის ამერიკელებიც არიან უკვე, მაგრამ ის, რომ მათი ძირები ქართულია, ამის მტკიცება გვიწევს დღეს. ეს ერთობლივად უნდა დასაბუთდეს თურქი და ქართველი მეცნიერების მიერ. მე, პირადად, არა ერთხელ შემითავაზებია თურქი მეცნიერებისათვის ასეთი ჯგუფის შექმნა სხვადასხვა დონის სამეცნიერო შეხვედრებზე, მაგრამ აქამდე დადებითი შედეგი არ ყოფილა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სიმპოზიუმის დროს ეს საერთო აზრი იყო.

მე არ მაქვს ილუზია, რომ ქართული მიმართულება გაძლიერდა მუსლიმ მესხებში, რადგან თურქეთი აფინანსებს მათ ნებისმიერ მოძრაობას და ვისი ფულიც არის, ის კარნახობს თამაშის წესებს, მაგრამ ქართული ძირების ორმხრივ აღიარება მნიშვნელოვან შედეგად მიმაჩნია.

– რამდენად წარმომადგენლობითი იყო სიმპოზიუმი, ბატონო მერაბ, ვინ მონაწილეობდა?

– დავიწყოთ იქიდან, რომ ისტორიკოსები, ვინც თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში მუშაობენ თურქეთსა და საქართველოში, მოხსენებით იყვნენ წარმოდგენილნი. მოხსენებები გამოვა წიგნად და ესეც დიდი შედეგია. წიგნი იქნება ორენოვანი ისევე, როგორც სიმპოზიუმი იყო ორენოვანი – ქართულ-თურქული.

სხვათაშორის, სიმპოზიუმის ორენოვნება ჩაითვალა სერიოზულ მიღწევად. დღეს ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ინგლისური, როგორც მსოფლიო ენა, აიძულებს სამეცნიერო შეხვედრებს, ინგლისურ ენაზე წარიმართოს შეხვედრები. ეს აადვილებს ორგანიზებას. ვინც ინგლისური არ იცის, ავტომატურად გამოეთიშება ფორუმს. არადა, რაც უნდა კარგი მოინგლისურე იყოს მეცნიერი, მშობლიურ ენაზე ბევრად უკეთესად გრძნობს თავს. ამასთანავე, თუ ქართულად არ ჩატარდა სამეცნიერო შეხვედრები, დაგვეკარგება ის ტერმინოლოგია, რომლის შესაქმნელად თაობები იღვწოდნენ. ეს პრინციპულია განსაკუთრებით ეროვნულ (ჰუმანიტარულ) მეცნიერებებში.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ბოლოსა და ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც ვატარებდით ერთობლივ კონფერენციებს თურქებთნ, პრინციპულ საკითხად დავაყენეთ მოხსენებების ქართულ-თურქულად წაკითხვა და არა მხოლოდ ინგლისურად ან თურქულად.

პირველი კრებულიც, ჯერ კიდევ 2002 წელს, სწორედ ორ ენაზე გამოვეცით. რომ არა ორენოვნება, ქართულ-თურქული ურთიერთობა ამ დონეზე ვერ იქნებოდა. კიდევ და კიდევ გავიმეორებ, რომ სერიოზული წვლილი ახალციხის უნივერსიტეტს მიუძღვის, ვგულისხმობ **როინ ყავრელიშვილის** ფაქტორს და **მაია მესხიძეს**, სხვებსაც, რომლებიც სხვადასხვა დროს მხარში უდგნენ ამ საქმეს.

მე ახლა ჩამოვთვლი მონაწილეებს, გაზეთის მკითხველისთვის ნათელი რომ იყოს, თუ რამდენად წარმომადგენლობითი და მნიშვნელოვანი ხასიათის იყო სიმპოზიუმი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბუნებრივია, რომ სიმპოზიუმის მომზადებასა და ორგანიზებას სათავეში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე** ედგა და, მართლაც, ძალიან მაღალი დონის ფორუმი შედგა სოხუმის უნივერსიტეტში, თან ეს არ იყო მხოლოდ საუნივერსიტეტთაშორისო შეხვედრა, მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლები არ იყვნენ და არც ყველა უნივერსიტეტის წარმომადგენლობა იყო, ბუნებრივია. იყვნენ ისინი, ვისი ინტერესის სფეროც ამ კუთხით იყო მიმართული. ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი **ჯემალ გამახარია** მონაწილეობდა, რომელიც არა მხოლოდ მიესალმა სიმპოზიუმის მონაწილეთ, არამედ მოხსენებითაც წარდგა მათ წინაშე; **იბრაჰიმ თელიოღლუ** – ეს არის 19 მაისის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც როინ ყავრელიშვილთან ერთად თურქულ-ქართულ ურთიერთობებს ისტორიკოსთა, და არა მარტო ისტორიკოსთა, ურთიერთობებს უდგას სათავეში. პროფესორი **მუსა ქასიმლი** – აზერბაიჯანის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის კავკასიის კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მისასალმებელი სიტყვით და მოხსენებით; მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ჩვენი რექტორი, პროფესორი – **მაკა ბერიძე**. პრაქტიკულად, იგი იყო ერთადერთი რექტორთა შორის საქართველოდან, მასპინძელი რექტორის გარდა, რომელიც მიესალმა კონფერენციას; პროფესორი **ბიროლ ჩეთინი** – თურქეთის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე; პროფესორი **მუჰამედ ჰექიმოღლუ** – ათათურქის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; **ფატმა ჯერენ იაზგანი** – საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. როგორც ხედავთ, საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო სიმპოზიუმი. ეს – ვინც მიესალმა სიმპოზიუმს, ვიდრე, უშუალოდ, დაიწყებოდა მომხსენებლების გამოსვლა.

მე გამოვყოფ რამდენიმე მომენტს იმიტომ, რომ შესავალი, მისალმების სახით, ეს იქნება კონფერენციისა თუ ნებისმიერი შეხვედრისა, წარმართავს მის გარკვეულ პოლიტიკას. ამიტომ ვფიქრობ, აქ საინტერესო იყო ჩვენი რექტორის გამოსვლა, რაც თავის სიტყვაში ორგზის დაიმოწმა ელჩმა აი, ასეთი მნიშვნელოვანი მომენტი: **„რადგან ჩვენ უკვე ისტორიის ნაწილი ვხდებით, უნდა მოვიქცეთ ისე, რომ მომავალმა თაობამ ჩვენზე ცუდი არ თქვას“.** ვფიქრობ, ეს საინტერესო გახლდათ.

ეს უკვე მეოთხე სიმპოზიუმი იყო ქართულ-თურქული შეხვედრებისა და ამ სიმპოზიუმის ოთხეულში არ შედიოდა ახალციხე, რადგან ახალციხემ დაიწყო ეს შეხვედრები, როდესაც 4 თუ 5 წლის წინ ჩვენთან ჩატარდა ერთობლივი სამეცნიერო სესია თურქ ისტორიკოსებსა და ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიკოსებს შორის. ეს იყო ერთგვარი მოთელვითი შეხვედრა, უფრო ფართომასშტაბიანი ურთიერთობებისა. რადგან ამ შეხვედრამ სწორი მიმართულება მიიღო და გაამართლა, შემდეგ მოჰყვა ის დაინტერესება, რო-

→

2022 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა

2 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა, რომელზეც ძირითად საკითხად განიხილეს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროექტი წარმოადგინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **როინ თათეშვილმა.**

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მოკლე მიმოხილვა გააკეთა 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე. ეს იყო: ახალქალაქში უნივერსიტეტის კორპუსთან მისასვლელი ღობის დემონტაჟი და მისი შეცვლა ახალი, ჭედური ნაკეთობების ღობით; ასევე, განხორციელდა დაცვის შენობის დემოტაჟი და ახლის აშენება. ქ. ახალციხეში პროფესორ-მასწავლებლებისათვის განკუთვნილ საერთო საცხოვრებელში სველი წერტილები განთავსებული იყო სართულზე მხოლოდ ერთი, რაც ქმნიდა არაკომფორტულ გარემოს, განსაკუთრებით კი პანდემიის პერიოდში წარმოადგენდა ვირუსის გავრცელების საშიშროებას. აქედან გამომდინარე, მოხდა შენობის რეაბილიტაცია და სველი წერტილების იზოლირება საცხოვრებელი ოთახის ფართში. საგრძნობლად გაუმჯობესდა არსებული მდგომარეობა.

მოგეხსენებათ, გასულ წელს პირველ სასწავლო კორპუსში მთლიანად შეიცვალა გათბობის სისტემა, მოხდა გათბობის საქვაბის სრული რეაბილიტაცია, დერეფნებში დამონტაჟდა გათბობის სისტემა. მიმდინარე წლის ბიუჯეტით განხორციელდა შიდა გათბობის ქსელის რეაბილიტაცია, რამაც, საბოლოოდ, რადიკალურად შეცვალა ბუნებრივი აირის მოხმარების ხარჯი.

მიუხედავად პანდემიისა, ადმინისტრაციული საქმიანობა არ შეჩერებულა და ბიუჯეტით განსაზღვრული აქტივობები უკლებლივ შესრულებულია. ამისათვის, ბატონმა როინმა მადლობა გადაუხადა ადმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი თავიანთი ფუნქციების შესრულებაში. „განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძეს თანადგომისათვის, რაც, ვფიქრობ, უნივერსიტეტის განვითარებისა და წარმატების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია“. – აღნიშნა მან.

ამის შემდგომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა 2022 წლის კონსოლიდირებული ბიუჯეტის პროექტი და გააცნო მისი ძირითადი პრიორიტეტები. კერძოდ:

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;
- ნაშრომების გამოცემის თანადაფინანსება;

- შიდა საგრანტო კვლევების თანადაფინანსება;
- საერთაშორისო დონის კონფერენციების დაფინანსება;
- სტუდენტური ექსპედიციების დაფინანსება;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად გათვალისწინებულია პროფესორების დატვირთვები. პროფესორის კვირეული დატვირთვა მოიცავდა 10 საათს, ასოცირებული პროფესორისა – 12-ს, ხოლო ასისტენტ პროფესორისა – 14 საათს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით , რექტორის ინიციატივით, აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა და შემოგვთავაზა დატვირთვის ახალი სქემა: პროფესორი – 8 საათი, ასოცირებული პროფესორი – 10, ასისტენტ პროფესორი – 12 საათი. ფაქტობრივად, ნაკლები სამუშაოს შესრულებაში შენარჩუნდა იგივე ანაზღაურება, რაც ხელფასის მატების ტოლფასია. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აზრით, ესაა წინგადადგმული ნაბიჯი უნივერსიტეტისთვის, რადგან აღნიშნული შეღავათი პროფესორს მისცემს შესაძლებლობას, მეტი იმუშაოს სამეცნიერო ნაშრომებზე თუ კვლევებზე და იზრუნოს პიროვნულ განვითარებაზე.

„რაც შეეხება შრომის ანაზღაურების მატებას, ზოგადად; ამ ეტაპზე მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემის ფორმირება, რომელიც უმოკლეს ვადაში დასრულდება. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, მივიღოთ უფრო მკაფიო გადაწყვეტილებები. ამ ეტაპზე ბიუჯეტში გათვალისწინებულია საპრემიო სტიმულირების საპრემიო ფონდი.“ – განმარტა ბატონმა როინმა.

სხდომის დასასრულს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა შეაფასეს 2020-2021 სასწავლო წლის ბიუჯეტით განსაზღვრული აქტივობების შესრულება და მიმდინარეობა, ასევე შეაფასეს 2021-2022 სასწავლო წლის ბიუჯეტის პროექტი და განსაზღვრული პრიორიტეტები. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა მადლობა გამოუცხადეს ბატონ როინს მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საკითხების წარმატებით შესრულებისთვის და 2021-2022 წლის ბიუჯეტის უნივერსიტეტის საჭიროებების განსაზღვრისათვის.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ასევე, მადლობა გამოუცხადეს უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძეს ადმინისტრაციულ საქმიანობაში აქტიური მხარდაჭერისა და უნივერსიტეტის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი
რ. თათეშვილი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი
ლ. ჩიგურდანიძე

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2022 წელი
შემოსავლები	**6 268 901,00**
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**2 151 185,0**
სწავლის საფასური	**4 017 716,0**
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება	**0,00**
მ.შ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	0,00
მ.შ. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	0,00
მ.შ. გრიგოლ ხანძთელის სახ. სტიპენდია	0,00
მოდულური საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის განხორციელება	0
ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	**0,00**
სამეცნიერო-კვლევითი გრანტები	**0,0**
კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები	**100 000,0**
საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული გრანტი	0,0
2 სხვა შემოსავლები	100 000,0
3	
4	
n	
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
სულ ასიგნება	**5579744,00**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	197
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	169

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
ხარჯები	**4 647 344,0**
შრომის ანაზღაურება	2 774 294
საქონელი და მომსახურება	1 737 400,0
გრანტები	0
სოციალური უზრუნველყოფა	40 000
სხვა ხარჯები	95 650
არაფინანსური აქტივების ზრდა	**932 400,00**
ვალდებულებების კლება	**0**
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**689 157**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის ხარჯები	
სულ ასიგნება	**5 579 744,0**
შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	197
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	169
ხარჯები	**4 647 344,0**
შრომის ანაზღაურება	2 774 294,0
საქონელი და მომსახურება	1 737 400,0
გრანტები	
სოციალური უზრუნველყოფა	40 000,0
სხვა ხარჯები	95 650,0
არაფინანსური აქტივების ზრდა	**932 400,0**
ვალდებულებების კლება	**0,0**
ნაშთი წლის ბოლოს	**689 157,0**

←

მელიც თურქულმა მხარემ კიდევ უფრო მეტად გამოიჩინა და სხვადასხვა უნივერსიტეტში შედგა ამ ტიპის შეხვედრები, მათ შორის, თურქეთში. ერთ-ერთი მასპინძელი თვითონ თურქეთის საისტორიო საზოგადოება იყო. სოხუმის უნივერსიტეტით პირველი ციკლი შეხვედრებისა დამთავრდა.

– ალბათ, პირველ ციკლს უნდა მოჰყვეს გაგრძელება. თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება ეს საინტერესო ურთიერთობები?

– მომავალში დაიწყება თუ არა შემდეგი ციკლი, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მაგრამ დამთავრდა საისტორიო საზოგადოებასა და საქართველოს უნივერსიტეტების ერთ ნაწილს შორის. თუმცა, ჩვენ არ ველოდებით, უნივერსიტეტი არ ელოდება, ვინ რას შემოგვთავაზებს იმიტომ, რომ თურქეთთან ურთიერთობებში ყოველთვის ვიყავით წინა ხაზზე. შემდეგ მოდიოდა ხოლმე სხვა უნივერსიტეტების ურთიერთობები. მისასალმებელ სიტყვაში სწორედ ამ აქცენტებს გაესვა ხაზი, რომ ყარსის კავკასიის უნივერსიტეტთან უკვე ერთობლივი კონფერენცია ჩავატარეთ ვეტერინარიის მიმართულებით, რომ ჩვენს სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ახლახან გაიმართა, ანკარიდან 4 სტუდენტი ჩაერთო, რომ ყარსის უნივერსიტეტის რექტორი და მასთან ერთად დიდი ჯგუფი იყო ჩვენთან სტუმრად და დაიგეგმა მომავალი ურთიერთობები და პერსპექტივები. მთავარი სწორედ ეს არის და კონფერენციაზეც გამოჩნდა, რომ შემთხვევით არ იყო ახალციხე მიწვეული სოხუმის უნივერსიტეტში, როგორც მონაწილე და არა მარტო – როგორც მონაწილე. ამასთან ერთად, ყარსში შეიქმნა ქართველოლოგიის განყოფილება, რომელსაც ჩვენი პროფესორი – **როინ ყავრელიშვილი** და ჩვენი კურსდამთავრებული, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი – **მაია მესხიძე** ხელმძღვანელობენ. ამ ყველაფერმა ჩემთვის, როგორც სამეცნიერო საქმის ხელმძღვანელისთვის უნივერსიტეტში, საინტერესო და მომავალზე გათვლილი იდეები გააჩინა.

მე ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს თურქეთთან ჩვენი უნივერსიტეტის ურთიერთობა. მართალია, ჩვენ ბაზარზე ვართ დამოკიდებული, როდესაც სტუდენტებს ეხება საქმე. როდესაც საუბარია, რომ რამდენი სტუდენტი მოვა ამა თუ იმ სპეციალობაზე და პროგრამაზე, რომ ჩვენ პრაქტიკულად, თურქული ენისა და ლიტერატურის პროგრამაზე სტუდენტები აღარა გვყავს, პროგრამა აღარ მუშაობს და ასე შემდეგ, ვინ გვიშლის ხელს სამეცნიერო საქმის გაგრძელებაში? ამიტომ ის, რომ დღეს თურქულზე სტუდენტი აღარ მოდის, რომ თურქულს, როგორც მეორე ენას, ისე სწავლობენ და მან არჩევით სფეროში გადაინაცვლა, ეს არ ნიშნავს, რომ გავჩერდეთ და ველოდოთ იმ დროს, როდესაც მოვა ხუთი სტუდენტი, იმათზე რომ აეგოს ურთიერთობა თურქეთთან. ჩვენს უნივერსიტეტში არის ძალები საიმისოდ, რომ სამეცნიერო მიმართულებით მუშაობა წარვმართოთ და განვავითაროთ ის ტრადიცია, რომელიც უნივერსიტეტს თურქებთან ურთიერთობაში აქვს.

ინტერვიუერი
მარინე ზედელაშვილი

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატის, პროფესორ მაკა ბერიძის სამოქმედო გეგმა

შესავალი

ჩვენი პროგრამის ძირითადი საფუძველი განვითარებაზე ორიენტირებაა. განვითარება პროცესია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე და უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. ასე ვხედავთ უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივას: თანმიმდევრობა, უწყვეტობა, წინსვლა.

ჩვენს ხედვას საფუძვლად უდევს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესები (რეფორმები), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხედვა ქვეყანაში უმაღლესი განათლების განვითარებაზე და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019-25 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის შემუშავებაშიც ჩართული იყო ბევრი დაინტერესებული მხარე და რომელიც გაზიარებულია როგორც საუნივერსიტეტო, ისე ფართო საზოგადოების მიერ. პროგრამა ეფუძნება ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანალიტიკურ ხედვას, სტუდენტებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან, პარტნიორებთან გამართული კონსულტაციებისა და შეხვედრების ანალიზს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე ოთხი წლის წინ რამდენიმე სერიოზულმა გამოწვევამ იჩინა თავი – დადგა ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების საჭიროება (ძველს ვადა ამოეწურა), ფუნქციონირების გასაგრძელებლად ინსტიტუციას, ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, უნდა მოეპოვებინა საქმიანობის გაგრძელების უფლება. ავტორიზაციის პროცესი შეეხებოდა როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული განათლების საფეხურს. ავტორიზაციის ღირსეულად მოპოვებას მართვასა და ადმინისტრირებაში, აკადემიურ და სამეცნიერო მიმართულებებში პრობლემების იდენტიფიცირება, ზოგი მათგანის მეყსეულად მოგვარება, ზოგ შემთხვევაში მოგვარებისთვის საჭირო მექანიზმებისა და რეგულაციების შემუშავება, ზოგისთვის კი გრძელვადიანი პერსპექტივის განსაზღვრა გახდა საჭირო. 2018 წელი და 2019-ის პირველი ნახევარი სწორედ ამ პროცესებისთვის სამზადისს დაეთმო. 2020 წლის 20 თებერვალს უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და სწორედ მაშინ, როდესაც მასშტაბურად უნდა დაგვეწყო დაგეგმილი სისტემური ხასიათის ცვლილებები, 16 მარტს, პანდემიიდან გამომდინარე, სწავლების დისტანციურ ფორმაზე გადავედით.

კოვიდ–19-ით გამოწვეულმა პანდემიამ საგანმანათლებლო სისტემა ახალი რეალობის წინაშე დააყენა. პანდემია დასრულდება, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი დღის წესრიგის შესაბამისად უნდა განვითარდეს.

ჩვენი პროგრამის პრიორიტეტები სამ მთავარ მიზანს ემსახურება. პირველი – დღემდე მიღწეული ყველა წარმატება შენარჩუნდეს და განმტკიცდეს. მეორე – უნივერსიტეტში გაგრძელდეს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის მუშაობა, კვლევის, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დამკვიდრება-მხარდაჭერა. მესამე – საუნივერსიტეტო განათლება კიდევ უფრო ორიენტირებული გახდეს სტუდენტთა საჭიროებებზე.

ჩვენი პროგრამა გულისხმობს უნივერსიტეტის განვითარებას შემდეგი ხუთი მიმართულებით:

- სწავლა-სწავლება;
- რესურსები;
- მართვის სისტემა;
- ინტერნაციონალიზაცია და პარტნიორული ურთიერთობები;
- კვლევა.

ხუთივე მიმართულება განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სტანდარტებთან კონტექსტში, გამომდინარეობს ამ სტანდარტებთან დაახლოების აუცილებლობიდან.

მიმართულება – სწავლა-სწავლება

კონკურენციის პირობებში, მუდმივად ცვალებად გარემოში ხარისხიანი განათლების მიღება, პირველ რიგში, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სწავლა-სწავლების პროცესს ეფუძნება, სწორედ ამიტომ გამოიკვეთა იგი ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად.

სასწავლო პროცესს მთლიანობაში მრავალი მხარე აქვს, მაგრამ მისი ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული საგანმანათლებლო პროგრამებზე.

გავლილი ოთხი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში: 1. სამ ფაკულტეტზე – იურიდიული, ბიზნესის ადმინისტრირების, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე განახლდა და რეაკრედიტაციაზე წარვადგინეთ რვა საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის, ერთი – ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა, რაც ნიშნავს, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამები უახლესი სტანდარტების მიხედვით მომზადდა და შემოწმდა. მხოლოდ ერთ პროგრამას – სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამას, ეთქვა უარი აკრედიტაციაზე, რისი მიზეზებიც სერიოზული დაფიქრებისა და განსჯის საგანი უნდა გახდეს სამომავლოდ. უშუალოდ, ჩვენი გადაწყვეტილებით უარი ვთქვით პროგრამის განმეორებით სააკრედიტაციოდ შეტანაზე მოკლე ვადაში, ვინაიდან, ვფიქრობთ, სერიოზულად გადავხედოთ იურიდიულ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის პოლიტიკას, რა თქმა უნდა, ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობით.

2. განსაკუთრებით უნდა ითქვას ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის შესახებ, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის დღეს მხოლოდ ჩვენთან ფუნქციონირებს. გვყავს ორი კურსი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 50-ე ბრძანებით პროგრამა დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ. პროგრამის აკრედიტაცია იყო უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პროცესი და ერთიანმა ძალისხმევამ საშუალება მოგვცა, წარმატებით დაგვესრულებინა იგი. ვეტერინარია ჩვენი უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთ ძლიერ მიმართულებად უნდა იქცეს.

3. 2021 წლის ბოლომდე აკრედიტაციაზე გაიგზავნება 2 საბაკალავრო პროგრამა, ხოლო გაზაფხულის სემესტრის ბოლოს უკვე კლასტერული აკრედიტაციით შემოწმდება ჰუმანიტარული მიმართულების კიდევ რვა პროგრამა სხვადასხვა საფეხურზე, ასევე, განათლების მიმართულების სამი პროგრამა. თითოეული მათგანის განახლება ამჟამად დაწყებულია და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

4. ცალკე უნდა გამოიყოს საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიული განათლების მიმართულებით. ახალი შესაძლებლობა მოგვცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მეოთხე კორპუსში პროფესიული პროგრამების ამოქმედების იდეის მხარდაჭერამ. ამჟამად მიმდინარეობს, დაახლოებით, სამმილიონიანი პროექტის ფარგლებში, შენობის რეაბილიტაცია პროფესიული განათლებისთვის.

5. საბჭოთა პერიოდის შემდეგ 2020 წელს დაბრუნდა პროფესიული განათლება ჯავახეთში და დაბრუნების ისტორია დაიწყო საბაჟო საქმის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ. 2021 წელს კიდევ რვა პროგრამამ გაიარა ავტორიზაცია ახალქალაქის მისამართზე, ოთხმა – ახალციხეში ანუ, სულ 12 პროფესიული პროგრამა მომზადდა.

6. 2021 წლიდან ამოქმედდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ერთიანი წესი, რომლის თანახმად, 2021 წელს პირველად, ერთიანი მიღების ფარგლებში, შესაძლებელი გახდა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა.

პროგრამების განახლებას, ახალი პროგრამების შექმნას განვიხილავთ, როგორც უწყვეტ პროცესს. შორს ვართ თვითკმაყოფილებისგან, ამ მიმართულებით ვხედავთ სერიოზულ გამოწვევებს, შესაბამისად, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში:

1. ხელი უნდა შევუწყოთ და რესურსების გასაკუთრებული მობილიზებით უზრუნველვყოთ ჰუმანიტარული მიმართულების პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის წარმატებით დასრულება;

2. უნდა შემუშავდეს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნებითა და საჭიროებებით არის დადასტურებული და რამდენიმე მათგანზე მუშაობა დაწყებულია:

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიასთან ასტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა;

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა;

ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა (ამერიკის საელჩოს ჩართულობით);

განათლების მიმართულების 300-კრედიტიანი ინტეგრირებული პროგრამები (სტემის მიმართულებები და სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადების პროგრამა);

ერთობლივი სადოქტორო პროგრამა განათლების მიმართულებით;

საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელი განათლების მიმართულებით;

პროფესიული პროგრამები: ვეტერინარიის, რძის დამუშავება, ხორცის დამუშავება, მანქანის სავალი ნაწილი, მანქანის ძრავის შეკეთება, ოპერატორი, ტელეწამყვანი; ერთობლივი პროგრამა სარკინიგზო მიმართულებით;

მოზადებისა და გადამზადების პროგრამები, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე, სწავლის ხელშეწყობით, განათლების უწყვეტობას უზრუნველყოფს;

პროფესიული განათლების მიმართულებით პრობლემად რჩება დუალური პროგრამები, რისი მიზეზიც ამ მიმართულებით უნივერსიტეტის ბიზნესთან თანამშრომლობის სუსტი პრაქტიკაა. მომდევნო ოთხ წელიწადში ხელი უნდა შევუწყოთ დუალური პროგრამების შემუშავებას.

3. არსებული პროგრამების განახლება-განვითარებას პირდაპირ უკავშირდება პროგრამებში უცხოელი და/ან უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების ჩართვის ხელშეწყობა. სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული პერსონალის განვითარების ხელშეწყობა, კადრები უნივერსიტეტის მთავარი გამოწვევაა, რომელსაც რესურსებზე საუბრისას შევეხებით;

4. გამოწვევად რჩება სწავლისა და კვლევის ინტეგრირება, რომლის დანერგვა შესაძლებლად გვესახება სადოქტორო სკოლის ამოქმედებით. სწორედ სადოქტორო სკოლა უნდა იქცეს სივრცედ, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში კვლევას და მის ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროგრამებში;

5. პოსტკოვიდური სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ამოქმედებისთვის, სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობისთვის, წინა წლებში გაწეული საქმიანობის მიუხედავად, გამოწვევად რჩება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების რეალური დანერგვა არა პროგრამათა თუ სასწავლო კურსების უმრავლესობაში, არამედ ყველა საფეხურზე და ყველა პროგრამაში; ამ მიმართულებით განსაკუთრებით სასარგებლოდ გვეჩვენება ერასმუსის მიმდინარე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დისტანციური სასწავლო კურსების მომზადებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, გაიზარდოს სასწავლო პროცესში სწავლების ელექტრონული მეთოდის გამოყენების წილი, დავნერგოთ დისტანციური სწავლება;

6. დღეს სერიოზულ გამოწვევად რჩება უნივერსიტეტისთვის მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში სსსმ და შშმ პირებისთვის შესაბამისი რესურსის მოძიება და მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა;

7. ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის აუცილებელია ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება. ეს უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას, მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები და გააფართოოს ერასმუსის პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა და პერსონალის მობილობა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხი წლის განმავლობაში სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდა შესაძლებლობა, გაეუმჯობესებინა ინგლისური ენის კომპეტენცია უნივერსიტეტის დაფინანსებით, ინგლისური ენის ფლობის საკითხი რჩება სერიოზულ გამოწვევად.

კვლევა

კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი და, ამავდროულად, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ 2014 წლის მონაპოვარს შენარჩუნება სჭირდება.

1. კვლევითი საქმიანობის საფუძველს აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს, ამიტომ აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებისა და პლაგიატის პრევენციის კუთხით უმნიშვნელოვანესი იყო erasmus+-ის პროექტი, რომლის ფარგლებში დაიხვეწა უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების წესი, დაინერგა ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამა. პროექტის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტმა საკუთარი სახსრებით უზრუნველყო პროგრამის ფუნქციონირება;

2. კვლევითი საქმიანობის მდგრადობის გათვალისწინებით შემუშავდა პერსონალის საქმიანობის შეფასება;

3. გაგრძელდა და გამრავალფეროვნდა საბიბლიოთეკო რესურსი და სამეცნიერო ბაზები.;

4. სამეცნიერო ბაზებთან ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ჩატარდა ტრენინგები სტუდენტებისა და პერსონალისთვის;

5. ჩატარდა ტრენინგები მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებისთვის სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების სტანდარტებზე. ეს თემები შევიდა სილაბუსებში როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო საფეხურზე;

6. რეკრედიტაცია გაიარა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამამ, აკრედიტაცია – ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამამ, პირველი კურსდამთავრებული გამოუშვა ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამამ;

7. გააქტიურდა ელექტრონული ჟურნალების საერთაშორისო ბაზებში განთავსების პროცესი.

ამ მიმართულებით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში :

სტრუქტურულ ერთეულად უნდა ჩამოყალიბდეს სადოქტორო სკოლა, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევას, მათ შორის, ინტერდისციპლინურ კვლევებს;

ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები რეალურად უნდა ამოქმედდეს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო გამოცემების მოსამზადებლად;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხები უნდა გაიზარდოს;

ელექტრონული ჟურნალების საერთაშორისო ბაზებში გან-

→

←

თავსების პროცესი უნდა გაგრძელდეს;

ჰორიზონტი ევროპის ხელშეკრულების ფარგლებში, უნივერსიტეტის ოფისი უნდა გახდეს კვლევითი საქმიანობის ცენტრი;

აუცილებელია საუნივერსიტეტო კვლევითი პოლიტიკის მუდმივი განახლება, რასაც დაეფუძნება სადოქტორო პროგრამების სამეცნიერო კომპონენტის კოორდინირებულად დაგეგმვა;

Horizin – 2020 განსაკუთრებულ შესაძლებლობებს უქმნის ქართულ მეცნიერებას და ქართველ მეცნიერებს. უნივერსიტეტის ოფისი უნდა იქცეს სამეცნიერო კვლევითი პროექტების შექმნის სივრცედ.

მიმართულება – მართვის სისტემა, ადამიანური რესურსი

სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის უპირველესად გადამწყვეტია ადამიანური რესურსი. დასახული სტრატეგიული მიმართულების მთავარი პრიორიტეტი ადამიანური რესურსების ხელშეწყობაა. ამიტომ განვსაზღვრეთ სტრატეგიული განვითარების გეგმით უნივერსიტეტის ამოცანებში კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი შესაძლებლობებისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება. ამ მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებისას გვსურს, შევქმნათ მდგრადი მექანიზმი ახალგაზრდა კადრების მოსაზიდად. მნიშვნელოვანია, შეიქმნას სივრცე, სადაც გამოცდილი პროფესურა შეძლებს, დამწყებ პედაგოგებთან თანამშრომლობით მათთვის გამოცდილების გაზიარებას. ამისთვის, მექანიზმის შექმნის დონეზე, გადავდგით რამდენიმე ნაბიჯი:

1. პირველ ეტაპზე მივიღეთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აკადემიურ პერსონალს საავალდებულო საათობრივი დატვირთვით გათვალისწინებული საათების ზევით აღარ ჰქონოდა დამატებითი საათების აღების შესაძლებლობა. მიზანი ეგრეთ წოდებული „გამოთავისუფლებულ საათებზე“ ახალგაზრდების მოწვევა და პროფესურასთან ერთად მათი სასწავლო პროცესში ჩართვა გახლდათ;

2. გამოვაცხადეთ კონკურსები ასისტენტ-პროფესორის თანამდებობებზე, რათა დოქტორანტურის კურსდამთავრებულებს, ახალგაზრდა მკვლევრებს ჰქონოდათ შესაძლებლობა, მიეღოთ კონკურსში მონაწილეობა. ეს პროცესი გაგრძელდება მომავალშიც;

3. მოვიწვიეთ უცხოელი პროფესურა (ამ ეტპზე ეს მოხერხდა სადოქტორო პროგრამების ფარგლებში);

4. თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ხელშესაწყობად დაიხვეწა რეგულაციები თანამშრომელთა შეფასების სისტემისთვის;

5. პანდემიამდეც და განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ არ შეწყვეტილა პერსონალთან ტრენინგები სწავლების მეთოდებზე, განსაკუთრებით დისტანციურ რეჟიმთან გადასვლასთან დაკავშირებით, არ დარჩენილა არცერთი მასწავლებელი, რომელიც საჭიროებდა კონსულტაციას და არ მიეწოდა. მომზადდა ინსტრუქციები, ვიდეორგოლები, საჭიროების შემთხვევში, ინდივიდუალურ რეჟიმში მიმდინარეობდა ურთიერთობები. შედეგად მივიღეთ ექსტრემალურ ვითარებაში არ შეწყვეტილი, პირიქით, წარმატებულად გაგრძელებული სასწავლო პროცესი, რაც ასევე საერთო ძალისხმევის შედეგია;

6. პანდემიური ვითარების გათვალისწინებით უნივერსიტეტის პერსონალს შევთავაზეთ სამედიცინო დაზღვევის პაკეტი უნივერსიტეტის დაფინანსებით;

7. ოთხი წლის განმავლობაში ორჯერ გავზარდეთ სახელფასო ანაზღაურება 10-10 %-ით, საბოლოოდ – 20%-ით;

8. 2022 წლისთვის 10%-ით გავზარდეთ სტუდენტთა საუნივერსიტეტო სტიპენდიის მოცულობა;

9. განვუსაზღვრეთ დანამატი პროგრამის ხელმძღვანელებსა და თანახელმძღვანელებს;

10. უნივერსიტეტი არის გამონაკლისთა შორის, სადაც ანაზღაურებადია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა;

11. 2022 სასწავლო წლისთვის შევამცირეთ აკადემიური პერსონალის სავალდებულო საათობრივი დატვირთვა, რაც რეალურად ერთი საათის ღირებულების გაზრდას ნიშნავს;

12. უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია პროგრამის erasmus+-ის ფარგლებში მიღწეული პოზიტიური შედეგები, რომელიც მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად პერსონალის მომზადება-გადამზადებას გულისხმობს სხვადასხვა მიმართულებით.

კარგად გვესმის, რომ განახლებას საჭიროებს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ეს საკითხი უნივერსიტეტის სტრუქტურაში დაგეგმილი ცვლილების შემდგომ კონკურსების საფუძველზე კადრების შერჩევით გადაწყდება. პროცესი დაგეგმილი გვქონდა გასული ოთხი წლის განმავლობაში. სტრუქტურის რეორგანიზება და კონკურსების გამოცხადება ვერ შევძელით. შეიძლება ვისაუბროთ ბევრ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორზე, თუმცა, აღსანიშნავია ერთი გარემოება. სტრუქტურული ცვლილებები, საკონკურსო პერიოდი, თავისთავად სერიოზული, რთული და გარკვეულად დაძაბული პროცესია. პანდემიამ დაამძიმა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფონი. ამ ვითარებაში უნივერსიტეტში კონკურსების გამოცხადება, პირველ რიგში, კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, გამჭვირვალედ ჩატარების პროცესს დააზიანებდა. მომდევნო ოთხი წელი ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებით დაიწყება, რასაც თანმიმდევრულად მოჰყვება ნათლად ჩამოყალიბებული და ფართოდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმებით ისეთი კადრების შერჩევა/შენარჩუნება, რომლებიც მაღალ დონეზე შეძლებენ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და არსებულ კონკურენტულ გარემოში უნივერსიტეტის წარმატების უზრუნველყოფას.

მიუხედავად იმისა, რომ განახლდა პერსონალის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელშიც პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაზუსტდა, დაიხვეწა მათი შერჩევის მექანიზმი, მიმდინარე საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, გამოწვევად რჩება წახალისების მექანიზმების შექმნა. შესაბამისად, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში:

1. უნდა გავითვალისწინოთ პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილება, სადაც პრემიები თუ წახალისების სხვა ფორმები დამოკიდებულია პერსონალის სავალდებულო საქმიანობის მიღმა ჩატარებულ სხვადასხვა აქტივობაზე. ამისთვის უნივერსიტეტები, სპეციალურად გამოყოფილ სახსრებთან ერთად, ეგრეთ წოდებულ მეცამეტე ხელფასის ფულად რესურსს იყენებენ. საკითხი, რა თქმა უნდა, გახდება მსჯელობის საგანი და კრიტერიუმებიც შემუშავდება ერთობლივად. ეს საშური საქმე იქნება იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტების დაფინანსების დაგეგმილი ახალი სისტემა სწორედ შედეგზე დაფუძნებულ დაფინანსებას გულისხმობს;

2. აუცილებელია სტუდენტთა სერვისების გამრავალფეროვნება, სტუდენტთა ჩართულობა მათ ეფექტიანად განხორციელებაში;

3. გააქტიურდება ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგ-კურსების, პროგრამებისა და სხვადასხვა ღონისძიების შეთავაზებით, განსაკუთრებით – ციფრული და უცხოური ენობრივი კომპეტენციების განვითარების კუთხით;

4. გაგრძელდება ახალი კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, მათ შორის, უცხოეთიდან. ვფიქრობთ, მხარი დავუჭიროთ ტენუარის სისტემას, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტში საწყისი პოზიციის გაჩენას ახალბედა პროფესიონალებისთვის, რათა მათ ხელი მიუწვდებოდეთ სამეცნიერო და აკადემიურ კარიერაზე საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე, თანამიმდევრული კარიერული წინსვლის სქემებისა და თანაზომიერი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე;

5. უმთავრეს პრიორიტეტად გვესახება თაობათა ღირსეული ცვლა უნივერსიტეტში. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ამოქმედდება ემერეტუსის ინსტიტუტი.

ფინანსური რესურსი

უნივერსიტეტის განვითარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის გამართულობას.

გასული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა უნივერსიტეტის დაფინანსების ახალი მოდელი, რომლის შემუშავებაში უნივერსიტეტებიც მონაწილეობდნენ. მომავალი ოთხი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი დაფინანსდება ახალი მოდელის მიხედვით. საბაზისო დაფინანსება, რომელიც გათვალისწინებულია ახალ მოდელში, ვფიქრობთ, უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს, ახალ შესაძლებლობებს გააჩენს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტს რჩება გამოწვევები, შესაბამისად მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში:

უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს ფინანსური შემოსავლების დივერსიფიცირება, რაც, ახალი წყაროების მოძიებასთან ერთად, საკუთარი რესურსის ეფექტიანად გამოყენებას უნდა დაეფუძნოს, განსაკუთრებით, დაფინანსების ახალი მოდელის პირობებში;

კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს დონორებთან და ფონდებთან თანამშრომლობა ფინანსური რესურსის მოძიების მიზნით;

მნიშვნელოვანია ნაბიჯები კომერციალიზაციის მიმართულებით, რაც კვლევებსა და ინოვაციებს უნდა დავუკავშიროთ;

მნიშვნელოვანია ფინანსების მოძიება და ფონდებთან თანამშრომლობა იმისათვის, რომ უფრო მრავალფეროვანი გახდეს სტუდენტთა სასტიპენდიო დაფინანსება.

მატერიალური რესურსი

ჩვენი უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია: „მატერიალური რესურსის განვითარება, რაც გამჭოლი საჭიროებაა ყველა სტრატეგიული მიზნის, ამოცანისა თუ ქვეამოცანის შესასრულებლად, რასაც ეფუძნება ნებისმიერი შეფასება და ყოველთვის ძირითადი ინდიკატორია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისთვის, ისახავს მიზნად ტექნოლოგიების პროგრესის ადეკვატურად მატერიალური რესურსის შექმნასა და დახვეწას, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ჩართულობასა და უახლესი მეთოდებით სწავლებას უზრუნველყოფს“.

ოთხი წლის განმავლობაში მაქსიმალურად გავამახვილეთ ყურადღება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე:

1. შევასრულეთ ავტორიზაციის რეკომენდაციების დიდი უმრავლესობა;

2. საბიბლიოთეკო რესურსი გამრავალფეროვნდა და გაციფრულდა;

3. შევძელით, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისათვის, ელექტრონული სერვისის გაუმჯობესების მიზნით, შეგვეთავაზებინა ინტერნეტპაკეტები, კომპიუტერები დროებით მფლობელობაში ინტერნეტმომსახურებისა და ელექტრონული სასწავლო რესურსის გამოსაყენებლად;

4. მეოთხე კორპუსის რეაბილიტაცია დასრულებულ სახეს შესძენს მთლიან კომპლექსს;

5. 50 ათასი ლარის სათბურის გასაშენებლად მომზადებულია პროექტი და წარდგენილია დონორთან;

6. გაიხსნა ლაბორატორიები საბუნებისმეტყველო და ვეტერინარიის მიმართულებით, კლინიკის აღსაჭურვად დონორთან წარდგენილია 100 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტი;

7. უნისეფის დაფინანსებით, 70 ათასი ლარის მოცულობის პროექტის ფარგლებში, გაიხსნა და კეთილმოეწყო ბავშვთა უფლებების დაცვის ორი ცენტრი (ახალციხე, ახალქალაქი);

8. რუსთაველის ფონდის დაფინანსებით, გაიხსნა და კეთილმოეწყო Horizont – 2020-ის ოფისი;

9. ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით, უნივერსიტეტს გადმოეცა ექვსი ჭკვიანი დაფა;

10. შეიცვალა გათბობის სისტემა პირველ კორპუსში და მოეწყო სახანძრო უსაფრთხოების ახალი სისტემა;

11. უნივერსიტეტის ახალციხის კორპუსები ადაპტირებულია სსსმ და შშმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით;

12. ნახევარი მილიონის დაფინანსება მივიღეთ პროფესიული პროგრამებისთვის საჭირო აღჭურვილობის შესაძენად;

13. ოთხი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და დაიწყო პროგრამის ერასმუს+-ის პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც შეძენილ იქნა უნივერსიტეტისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი ტექნიკა, ორასი ათას ლარამდე ღირებულების.

შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში გამოწვევად რჩება:

არსებული ლაბორატორიების სრულყოფა კვლევითი საჭიროებების გათვალისწინებით;

ციფრული ჰუმანიტარიის ლაბორატორიის შექმნა;

მოუგვარებელი დარჩა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის საკითხი ახალციხეში;

უნივერსიტეტის რესურსის გამოყენება ფინანსების მოძიების მიზნით (საქმიანობის კომერციალიზაციისთვის).

ინტერნაციონალიზაცია და პარტნიორული ურთიერთობები

განათლების ინტერნაციონალიზაცია, ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უპირობო პრიორიტეტია. ინტერნაციონალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს კვლევისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას, საერთაშორისო მობილობას როგორც სტუდენტთა, მეორე მხრივ, აუცილებელია უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, უცხოელი სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებელთა მოზიდვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთობების შენარჩუნება და გაფართოება პარტნიორებთან საქართველოში. უნივერსიტეტს კარგად აქვს გაცნობიერებული უნივერსიტეტის მესამე მისია – სოციალური პასუხისმგებლობა. ამ მიმართულებით გასული ოთხი წლის განმავლობაში:

ინგლისური ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გაიხსნა სასწავლო კურსები როგორც სტუდენტებისთვის, ისე პერსონალისთვის;

უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სხვა საინფორმაციო რესურსების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, განახლდა გვერდი და ინფორმაციები განთავსდა ინგლისურ ენაზე;

აქტიურად მიმდინარეობდა სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირება საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მიზნით, ფაქტობრივად, ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატით;

გაფართოვდა სკოლებთან თანამშრომლობა;

უნივერსიტეტი მონაწილეობს აშშ-ს მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელიც საბაზო განათლების ხელშეწყობას ითვალისწინებს მიზნად, პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის ტრენერთა ჯგუფმა ითანამშრომლა სამცხე-ჯავახეთის ყველა სკოლასთან;

პანდემიური ვითარების მიუხედავად, არ შეწყვეტილა თანამშრომლობა უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ფარგლებში არასამთავრობო, სამთავრობო და კერძო სექტორთან სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამების მიმართულებით, ასევე, ქართული ისტორიისა და კულტურის გაცნობა-პოპულარიზაციის ღონისძიებების კუთხით;

კარგად გვესმის, რომ ინტერნაციონალიზაცია და პარტნიორული ურთიერობები მჭიდრო კავშირშია უნივერსიტეტის საქმიანობასთან. ამიტომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი, როგორც გამჭოლი საჭიროება, ყველა ზემოთ გათვალისწინებული საქმიანობის თანამდევი უნდა გახდეს. უნდა გააქტიურდეს მუშაობა შემდეგი მიმართულებით:

ინგლისური ენის კომპეტენციის ასამაღლებლად აუცილებელია გაგრძელდეს ხელშემწყობი მექანიზმები;

გააქტიურდეს კურსდამთავრებულების ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული წინსვლის კვლევის ხელშეწყობა;

უნდა შეიქმნას დამსაქმებლების ბაზის შექმნა და მათთან ურთიერთობა;

უნდა გაფართოვდეს დამსაქმებელთა ქსელი და დამსაქმებლების ჩართვა ახალი საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვასა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დახვეწაში. ასევე აუცილებელია დამსაქმებელთა გააქტიურება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში და პრაქტიკული შინაარსის მასტერ-კლასების ორგანიზებაში;

გააქტიურდეს საქველმოქმედო და მოხალისეობრივი საქმიანობა.

გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“ - უნივერსიტეტის თანატოლი

● **გაზეთი** „მესხეთის უნივერსიტეტი“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირმშოა, რომელმაც საქართველოს სამხრეთის საზღვართან, ქალაქ ახალციხეში, უნივერსიტეტის დაარსებიდან რამდენიმე თვეში დაიწყო არსებობა და უდიდესი მისია იკისრა: უნივერსიტეტის ცხოვრების ასახვა, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო-საგანმანათლებლო პრობლემატიკაზე მსჯელობა, სტუდენტთა ფართო და განსხვავებული ინტერესების გამოხატვა, პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობის მიზნების შესახებ საუბრები და მრავალი სხვა, რითაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა არამხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტების გაზეთებს შორის, არამედ საზოგადოდ ქართულ ჟურნალისტიკაში.

„მესხეთის უნივერსიტეტი“ მისი წარსულის მოწმეა, იგი კვალდაკვალ მისდევდა და მისდევს უნივერსიტეტში მიმდინარე ცხოვრებას და გვესაუბრება მის წარმატებებზე, გულისტკივილზე, უნივერსიტეტში დავანებული ყველა თაობის წარმომადგენელზე, რომელიც უნივერსიტეტის სიხარულსა და ტკივილს იზიარებს და ატარებს. ამჟამადაც ჩვენი გაზეთი იმ გზას აგრძელებს, რომლის კონტურები პირველივე ნომრიდან მოხაზა და რომელსაც ემსახურება უკვე სამი ათეული წლის განმავლობაში. ეს უდიდესი დამსახურებაა როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელებისა, სტუდენტებისა და თანამშრომლებისა, განსაკუთრებით მისი რედაქციისა და რედაქტორისა, ქალბატონ მარინე ზედელაშვილისა, რომელიც უშურველად, დაუღლელად ცდილობს გაზეთის მაღალი დონის შენარჩუნებას.

ოცდაათი წელი ცოტა არ არის, მაგრამ არც ბევრია. ამ ხნის განმავლობაში გაზეთმა შეძლო თავისი აკადემიური სახის დამკვიდრება და შენარჩუნება, რაც მის მრავალრიცხოვან ავტორთა დამსახურებაცაა რედაქტორის საქმიანობასთან ერთად. ადვილი არ არის იმ წონასწორობის შენარჩუნება, რომელიც მის წინაშე პირველი ნომრის გამოსვლისთანავე წარმოიშვა და რასაც იგი ყოველთვის ახერხებდა. იგი მომავლის კონტურებსაც სახავს, რითაც ყველასათვის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტელისათვის, საყვარელი და ძვირფასია.

„მესხეთის უნივერსიტეტს“ კვლავაც ვუსურვებ წარმატებებს, რთული გზის დაძლევას და ცხოვრებისეულ ეკლიან ლაბირინთებში სწორი პოზიციების გამოვლენას.

ნესტან სულავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

● **მესხეთში** მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი გეტყვით, რომ ყველაზე დიდი მოვლენა გასული საუკუნის 90-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის გახსნა იყო. მაშინ ბევრი, ალბათ, სკეპტიკურად უყურებდა ამ მოვლენას, რადგან ვერ წარმოედგინათ თუ როგორ უნდა ეფუნქციონერა ისეთ რთულ რეგიონში უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას, რომელსაც საიმისოდ არც სათანადო მატერიალურ-ტენიკური ბაზა ჰქონდა და, რაც მთავარია, არც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ჰყავდა.

მაგრამ ამ საქმის ინიციატორმა და სულისჩამდგმელმა, ახალგაზრდა მეცნიერმა მერაბ ბერიძემ შეუძლებელი შეძლო და გარშემო შემოიკრიბა ასევე ახალგაზრდა ენთუზიასტი მეცნიერების მობილური ჯგუფი და, როგორც იტყვიან, თანდათანობით, უსახსრობისა და მრავალი გაჭირვების მიუხედავად, შეეჭიდა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს და დღეს, მრავალ ბრძოლაგამოვლილი უნივერსიტეტი, ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული უნივერსიტეტია საქართველოში და სწორედ მის კურსდამთავრებულებს აბარიათ ყველა საკვანძო თანამდებობა მესხეთში (და არა მარტო აქ).

30 წელი მთელი ეპოქაა, რომელიც მათ შექმნეს. ასევე, 30-წლოვან ისტორიას ითვლის უნივერსიტეტში გამომავალი მაღალი აკადემიური დონით გამორჩეული გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“, რომელსაც ბრწყინვალედ რედაქტორობს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, დიდებული ქალბატონი მარინა ზედელაშვილი. მან, მესხეთის დედაუნივერსიტეტთან ერთად, დიდი შემოქმედებითი გზა გაიარა და არაერთ ახალგაზრდას გაუკვალა გზა ქართულ ჟურნალისტიკაში.

დღეს საქართველოში თუ რომელიმე საუნივერსიტეტო გაზეთის მუშაობაზე უნდა ითქვას კეთილი და დაუმადლებელი სიტყვა, ეს, უპირველესად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთზე ითქმის, რომელიც სისხლხორცეულადაა ჩართული უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში და თავდაუზოგავად ქმნის მესხეთის უნივერსიტეტის მატიანეს.

გაივლის მრავალი ათეული წელი და ეს გაზეთი, სხვებთან ერთად, ჩვენს მომავალ სტუდენტ ახალგაზრდობაში გააცოცხლებს XX საუკუნის მიწურულისა და XXI საუკუნის ბოლო ათწლეულების, დღევანდელობის სისხლსავსე ცხოვრებას, იმ პროფესორ-მასწავლებელთა თუ სტუდენტთა საქმიანობას, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული გაზეთის ცხოვრებაში.

გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ შემოქმედებით კოლექტივს წრფელი გულით ვულოცავთ 30-წლიან საიუბილეო თარიღს და გვჯერა, კიდევ ბევრ სასახელო ფურცელს ჩაწერს უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრების საქმეში.

გილოცავთ, გვეიმედებით და გვეამაყებით ჩვენო ერთგულო, საიმედო და კეთილო თანამოკალმეებო.

ავთანდილ ბერიძე
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

● **ვიცოდი,** რომ არსებობდა და აქტიურად ფუნქციონირებდა გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი”, მაგრამ როცა გავხდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი და შემდეგ ფაკულტეტის დეკანი, მაშინ დავინახე თუ რა ღირსეული ადგილი უკავია გაზეთს სამხრეთ საქართველოს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და სამომავლო პერსპექტივაში.

ახალ-ახალი წარმატებების მოლოდინში გულწრფელად ვულოცავ გაზეთის რედაქტორს, ქალბატონ მარინე ზედელაშვილს, მის თანამოაზრეებს და ყველა გულშემატკივარს 30 წლის იუბილეს.

ლევან მაკარაძე
პროფესორი

● **უნივერსიტეტის** არსებობის პირველი დღიდან მოაბიჯებს ჩვენთან ერთად გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი”, ყველა წარმატების, სიხარულის, მთელი ჩვენი ოცდაათწლიანი შრომის „ჟამთაღმწერელი”. უცხოური ენების სხვადასხვა მიმართულების სტუდენტთა და მასწავლებელთა პირველი თარგმანების გამომზიურებელი და სხვა შემოქმედი ახალგაზრდების გზის დამლოცველი იყო მუდამ ჩვენი გაზეთი. ახალგაზრდა ჟურნალისტებსა და სტუდენტებზე მათი ზრუნვა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება ხომ, გაზეთის არსებობის მანძილზე, ჩვეულებრივი ყოველდღიურობა იყო.

გაზეთი დაუღალავ შრომას და პროფესიონალიზმს მოითხოვს. ამ მხრივაც წლების მანძილზე განებივრებულები ვიყავით. ყველა თაობის ჟურნალისტები, ვინც ამ 30 წლის მანძილზე ქმნიდა ინფორნაციულ და ფოტო-ისტორიას, აგურ-აგურ აგებდა გაზეთის სავალს და საინტერესო მასალებით გვამახსოვრებდა თავს. განსაკუთრებით მინდა მივულოცო ეს თარიღი ქალბატონ მარინე ზედელაშვილს და ლიკა ზაზაშვილს, რომელთა საქმისადმი დაუცხრომელი ერთგულების დამსახურებით გაზეთი, მიუხედავად ყველაფრისა, ასე სასახელოდ დგას თავის პოზიციაზე.

ქალბატონო მარინე, თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ. თქვენ შექმენით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატიანე. გაივლის წლები და ჩვენი მომავალი თაობა უკვე ციფრულ სამყაროში არსებულ თქვენ ღვაწლს იხილავს და გაეცნობა ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიას. ვულოცავ უნივერსიტეტს და მის გაზეთს სახელოვნად განვლილ ოცდამეათე წლისთავს.

ლალი ბერიძე
ასოცირებული პროფესორი

● **მხოლოდ** გაზეთი? გამთბარი გულების თავშესაფარია „მესხეთის უნივერსიტეტი“, მადლიერების ზეიმი, ინფორმაციის უშრეტი წყარო, სიამაყის მიზეზი! ვერცერთ სიახლეს გამოგატოვებინებს! დიდ ყურადღებას, მოწიწებას რომ იმსახურებს!..

უღრმესი მადლობა თითოეულ ადამიანს ამ დიდი შრომისთვის. განსაკუთრებით ყველა სტუდენტის ძვირფას მეგობარს, ქალბატონ მარინეს.

ჩემთვის, როგორც სტუდენტისთვის, ერთი დიდი ბედნიერებაა – ვკითხულობდე „მესხეთის უნივერსიტეტს“ დაუღალავად!

რიმა სუდაძე
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის I კურსი

● **ჩვენს** საამაყო გაზეთს, უნივერსიტეტის საუკეთესო მემატიანეს – „მესხეთის უნივერსიტეტს“, მის რედაქტორს, ჟურნალისტებს, თანამშრომლებს, სტუდენტებს ვულოცავ საიუბილეო თარიღს. მიყვარს ჩვენი გაზეთი, თავისი საინტერესო ისტორიებით. ყოველთვის დიდი ინტერესით ველოდები მისი ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას. წარმატებები!

გურანდა მოდებაძე
საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების უფროსი სპეციალისტი

● **თამამად** შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი თაოსნობით არაერთ სტუდენტს გაულამაზა და კიდევ უფრო გაუფერადა სტუდენტობის პერიოდი გაზეთმა – „მესხეთის უნივერსიტეტი“. ვულოცავ უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელსა და სტუდენტს, განსაკუთრებით კი მათ, ვის შესახებაც დაწერილა და დაიწერება გაზეთის ფურცლებზე.

პირადად ჩემთვის ეს არის გაზეთი, რომელმაც დიდი ხნის ძალიან დიდი და სანუკვარი ოცნება ამიხდინა. ამიტომ, მისი იუბილე და არსებობა ორმაგად მნიშვნელოვანია. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია – არის ჩემი უდიდესი მადლიერება და პატივისცემა თითოეული იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც გაზეთის ისტორია დაწერა და აგრძელებს ამ დიდებულ საქმეს.

განსაკუთრებით დიდი მადლობა ჩემს (ქალბატონ) ლიკასა და ქალბატონ მარინეს, მათი დაუღალავი შრომისთვის. მჯერა, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გააფერადებენ უნივერსიტეტის სტუდენტთა და არამარტო მათ ცხოვრებას.

გილოცავთ!

ნატალია ვარდიძე
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მე-2 კურსი

● **იუბილეს** ვულოცავ გაზეთ „ მესხეთის უნივერსიტეტის“ სარედაქციო კოლეგიას, მის მთავარ რედაქტორს, მთელს უნივერსიტეტს. დიდხანს, დიდხანს გეშრომოთ დაუღალავად და კმაყოფილი მკითხველი არ მოგკლებოდეთ! კვლავაც შემოქმედებითი წარმატების გზით იარეთ უნივერსიტეტის სასიკეთოდ!

ნანა ლომინაშვილი
სასწავლო პროცესების სპეციალისტი

● **ვულოცავ** უნივერსიტეტს, თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს, სტუდენტებს გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ საიუბილეო თარიღს. უამრავი ღირსშესანიშნავი და წარმატების მაუწყებელი ამბავი დაბეჭდილა გაზეთის ფურცლებზე და მრავალ ისტორიას ინახავს მისი თითოეული გვერდი. ვუსურვებ ჩვენს გაზეთს, უნივერსიტეტის ცხოვრების ამსახველი მრავალი და მრავალი საინტერესო, წარმატებით აღსავსე, ბრწყინვალე ამბები დაეწეროს! უღრმესი მადლობა გაზეთის რედაქციას სტუდენტური ცხოვრების გალამაზებისთვის.

ნაზი ახალკაცი
იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-4 კურსი

● **4 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე **„ახალი შესაძლებლობები სოციალურ მეწარმეობაში და მწვანე ეკონომიკაში“.**

ტრენინგი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მერსი ქორფის საქართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შედგა, რაც ითვალისწინებს სოციალური მეწარმეობისა და მწვანე ეკონომიკის პოპულარიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტის ეკონომიკისა და სხვა სპეციალობათა სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას, შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

ტრენინგი ჩატარდა EU4Youth სოციალური მეწარმეობა სომხეთსა და საქართველოში (SEAG)-ის ორგანიზებით. მისი მიზანია ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის გაძლიერება და დასაქმება სოციალური მეწარმეობის სფეროში. პროექტი უნიკალურ შანსს აძლევს ახალგაზრდებს, განავითარონ არსებული ან დაიწყონ ახალი ბიზნესი, ჩამოაყალიბონ მიზანზე ორიენტირებული სოციალური საწარმო, მიაღწიონ მის მდგრადობას და, ამავდროულად, უზრუნველყონ არსებული სოციალური პრობლემების მოგვარება.

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციებია: საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაცია „მერსი ქორფი” და საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია „ეიბისიოჯორჯია“.

● **5 ნოემბერს,** გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტრო პროგრამის დოქტორანტის **ნინო მეგენეიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის **– „ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი“** – საჯარო განხილვა.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნესტან სულავა.**

ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო სადისერტაციო საბჭოს მხრიდან და დაცვა წარმატებულად შეფასდა.

● **12 ნოემბერს,** გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტრო პროგრამის დოქტორანტის **ჟანა ხაჩატურიანის** სადისერტაციო ნაშრომის – **„სახელთა ბრუნება ქართულსა და სომხურ ენებში“** – საჯარო განხილვა.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მანანა ტაბიძე.** ნაშრომმა, სადისერტაციო საბჭოს მხრიდან, მაღალი შეფასება მიიღო.

● **18 ნოემბერს,** გაიმართა პრეზენტაცია დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის, **ბარბარე გალიბინის** კვლევის **„თანამედროვე სკოლა და ბავშვთა უფლებები“.**

შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე და საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც, ამავდროულად, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიანტები არიან.

ღონისძიება ფონდის მიერ ორგანიზებული სტუდენტთა კვირეულის ფარგლებში გაიმართა. აღნიშნული ინიციატივა „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდისა და 6 პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით ხორციელდება.

კამპანიის ფარგლებში ფონდის სტიპენდიანტ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ თავად დაგეგმონ საინტერესო ღონისძიებები და ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში, სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებული მასწავლებლები კი პროექტის მონაწილეებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ. ამასთან ერთად, კვირეულის ფარგლებში სტიპენდიანტთა კლუბის პრეზენტაციაც იგეგმება, რომელიც პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტებს გააერთიანებს.

● **19 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, მოეწყო სამუშაო შეხვედრა, რაც დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის გაკვეთილის ჩატარების დაგეგმვას გულისხმობდა. სოფელ ჭვინთის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგ **ელზა რაისიანთან** ერთად ფონდის სტიპენდიანტმა სტუდენტებმა შეიმუშავეს გაკვეთილის გეგმა.

20 ნოემბერს, უნივერსიტეტს ჭვინთის საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ, რომლებსაც სტუდენტებმა ჩაუტარეს გაკვეთილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე,** მასწავლებელთა აღიარების რეგიონული კონკურსის გამარჯვებული პედაგოგები **ლია კენჭოშვილი, ნინო ყურმაშვილი** და **ელზა რაისიანი.**

იმიტირებული გაკვეთილის შემდეგ სტუდენტებმა პედაგოგებისგან რჩევები და რეკომენდაციები მიიღეს, რაც სამომავლოდ პედაგოგიურ მოღვაწეობაში დაეხმარებათ.

ინფორმაცია

● **20-21 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს დარგობრივ ვორქშოფში, რომელსაც ფრანგი ტრენერი **გი შარბონიე** უძღვებოდა.

ჩატარდა ხელოვნური განაყოფიერების ტრენინგი მსხვილფეხა მესაქონლეობაში. ტრენინგის პრაქტიკული ნაწილი სოფელ რუსთავში, ვაჟა ძირკვაძის ფერმაში ჩატარდა, ხოლო თეორიული – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პრაქტიკული და თეორიული ტრენინგების დროს დამსწრეებს საშუალება მიეცათ, გაცნობოდნენ ხელოვნური განაყოფიერების პროცესებს. აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდებში დიდია ინტერესი ხელოვნური განაყოფიერების სპეციალობის დაუფლების მიმართ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, პროექტის – FinExCoop-ის ორგანიზებით და GBDC Caucasia-ის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის მხარდაჭერით, დაგეგმილია მსხვილფეხა მესაქონლეობის ტრენინგებში ახალგაზრდების ჩართვა 2022-2023 წლებში.

● **22 ნოემბერს,** სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ინიციატივით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სისხლის უანგარო დონორის აქცია.

დონაციის პროცესს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე,** სასწავლებლის თანამშრომლები, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და სხვა მსურველები შეუერთდნენ.

● **23 ნოემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“** (INTERNATIONAL STUDENT SCIENTIFIC CONFERENCE „USAGE OF INFORMATION TECHNOLOGIES).

კონფერენციას მიესალმნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე,** უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ლევან მაკარაძე.**

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ტალინის უნივერსიტეტის, თელავის, თბილისის, ვოლგოგრადისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებმა.

● **30 ნოემბერს,** ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის უფროსკლასელებისთვის გაიმართა შეხვედრა თემაზე **„ძალადობის გავლენა პიროვნების განვითარებაზე“.**

პრეზენტაციას უძღვებოდა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფსიქოლოგი **გულიკო ბექაური.**

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მოძალადისა და მსხვერპლის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე.

● **2 დეკემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მულტიმედია კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის დანერგვის შესახებ, სამუშაო შეხვედრა შედგა. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ამერიკელი კოლეგების საპასუხო ვიზიტი ონლაინ რეჟიმში წარიმართა.

შეხვედრაზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულმა კონსულტანტმა **ნათია კუპრაშვილმა** მულტიმედია კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის პრეზენტაცია გააკეთა.

შეხვედრას ესწრებოდნენ პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე** და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი **თეა თათენაშვილი**.

მედიაგანათლების პროგრამის მიზანი საქართველოში ჟურნალისტიკის სწავლების გაძლიერება და თანამედროვე მედიასტანდარტების დანერგვაა. პროექტი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ არის დაფინანსებული და საქართველოში ამერიკის საელჩოს მიერ ხორციელდება. ამერიკული მხრიდან პროექტის პარტნიორია ორგანიზაცია WorldChicago.

სამაგისტრო პროგრამა მომზადდება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ დაფინანსებულ **„მედიაგანათლების მხარდაჭერის პროგრამის“** და ჟურნალისტიკის რესურსცენტრის აქტიური მხარდაჭერის ფარგლებში.

● **6 დეკემბერს,** ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კოლეჯის – „ოპიზარი“, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ონლაინ სემინარი ჩატარდა.

შეხვედრაზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ქვეყნის დასავლური კურსის მნიშვნელობა განიხილეს.

მონაწილეებს საინფორმაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე **ირინა შამილაძე** მიესალმა და ცენტრის საქმიანობა და მიმდინარე პროექტები გააცნო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ – **ქეთი ჭუმბაძემ**, მონაწილეებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დინამიკაზე და არსებულ გამოწვევებზე მიაწოდა ინფორმაცია. მან ვრცლად ისაუბრა საქართველოს საგარეო და სამშვიდობო პოლიტიკასა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე.

შეხვედრას, რომელსაც 80-მდე მონაწილე ესწრებოდა, მოდერაცია საინფორმაციო ცენტრის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა **თეონა ზურაბაშვილმა** გაუწია.

სემინარი გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის – **„დასავლური ინტეგრაციის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში“** – ფარგლებში. პროექტს საინფორმაციო ცენტრი საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან ერთად ახორციელებს.

● **10 დეკემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტურ კამპანიას „ავიცრათ ერთმანეთისთვის“ შეუერთდა.

ღონისძიება ახალციხის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო და მასში მონაწილეობა სტუდენტურმა თვითმმართველობამ, ოთხივე ფაკულტეტის სტუდენტებმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა მიიღო.

კამპანია, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით, 26 ნოემბერს დაიწყო და მასში სხვადასხვა სასწავლებლები ჩაერთვნენ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოწვევა მიიღო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, თავის მხრივ კი კოლეჯი „სპექტრი” გამოიწვია.

კამპანიის ფარგლებში სტუდენტები, ბრენდირებული ხალათებითა და პირბადეებით, ახალციხის ცენტრალურ პარკში შეიკრიბნენ და მოსახლეობას ვაქცინაციის პროცესის გააქტიურებისკენ მოუწოდეს. აქციის ფარგლებში, სტუდენტები მოსახლეობასთან ერთად გადაღებულ ფოტოებსა და ვიდეომიმართვებს, ასევე შთაბეჭდილების ბანერზე დატოვებულ სამოტივაციო მესიჯებს, ინტერნეტსივრცეში კამპანიის – „ავიცრათ ერთმანეთისთვის“ სლოგანით ავრცელებენ.

უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

მარეხ ნათენაძე

წლების განმავლობაში ცხოვრობდა უნივერსიტეტის ცხოვრებით, ასულდგმულებდა მისი წარმატება, იზიარებდა სიხარულს და არასოდეს უშინდებოდა სირთულეებს.

ვერ მივულოცეთ 2022 წლის დადგომა ჩვენს მარეხს! მისი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილის გამო, ვერც ერთმანეთს მივულოცეთ რიგიანად ახალი წელი. ვაცილებთ მარეხ ნათენაძეს, უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ზეციურ საქართველოში. ვიზიარებთ ოჯახის უდიდეს მწუხარებას და დედის, ძმის, ახლობლების გვერდით თავს ვგრძნობთ ჭირისუფლებად.

ქალბატონო მარეხ, ჩვენო მარეხ, მადლობა შრომისთვის, გარჯისთვის, ერთგულებისთვის, ზრუნვისთვის, ძლიერი სიყვარულის უნარისთვის! მადლობა უკანასკნელი გაკვეთილისთვის, სტუდენტებს და თანამშრომლებს რომ დაგვრჩა თქვენგან, გაკვეთილი არნახული გამძლეობის, უსაშინლეს სენთან ბრძოლის, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე შემონახული იმედის. მხოლოდ უძლიერეს ადამიანებს ძალუძთ ქიმიოთერაპიის კურსები სალექციო კურსებით ჩაანაცვლოს ისე, რომ არცერთი ლექცია არ გააცდინოს!

ახლა უთქვენობა უნდა ვისწავლოთ, ქალბატონო მარეხ... გემშვიდობებით და ვიტოვებთ თბილ მოგონებებს. გავუფრთხილდებით საქმეს, დიდი სიყვარულით რომ ემსახურეთ!

უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
მაკა ბერიძე

ზეციურ სამყაროს შეუერთდა ჩვენი ჭკვიანი, გონიერი მარეხ ნათენაძე, პედაგოგიკის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ფაკულტეტის საბჭოს მდივანი.

შეუძლებელია მასზე წარსულში საუბარი... აღარ გვყავს მარეხი, ჩვენი ღიმილიანი გოგო, უბადლო თანამშრომელი და მეგობარი, უაღრესად მაღალი პასუხისმგებლობის, ნამდვილი ადამიანობის მატარებელი, რომლისთვისაც საზოგადოებრივი საქმე ყოველთვის პირველ ადგილზე იყო.

დიდია ჩვენი ტკივილი, სიტყვებს ვერ ვპოულობთ. ოპერაციის დღესვე ვიცოდით მისი რთული მდგომარეობა, მაგრამ არ გვინდოდა დაჯერება.

30 წელი ვიმუშავეთ ერთად, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება. გაუსაძლისია ეს ტკივილი, ძნელია იმ განცდის გადმოცემა, რასაც ვგრძნობთ მისი გარდაცვალებით.

გვაპატიე დაგვიანებული მადლობა შენი ღირსეული საქმეებისთვის, საუკეთესო თანამშრომლობისთვის, მეგობრობისთვის, ღირსეული ლექტორობისთვის, დაუღალავი შრომისთვის, უბრალოდ – კარგი ადამიანობისთვის.

ვუსამძიმრებთ ამ დიდ ტკივილს მის საყვარელ ძმას და დედას, რომელზეც ძალიან დარდობდა. ვუსამძიმრებთ მის ახლობლებს, მეგობრებს, თანამშრომლებს, მეზობლებს, სტუდენტებს და ყველას, ვინც იცნობდა მარეხ ნათენაძეს.

მშვიდად, წყნარად აივლიდა უნივერსიტეტის კიბეებს და გვიან თუ გამოვიდოდა აუდიტორიიდან ვალმოხდილი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული. საოცარი პიროვნება, იმედიანი, მაღალი პასუხისმგებლობის და ღირსეული, რომელიც 30

წელი კეთილსინდისიერად ემსახურა თავის ქვეყანას, თავის ქალაქს და უნივერსიტეტს.

ასეთი იყო ჩვენი მარეხი, რომელმაც უდიდესი და მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვა ყველას...

მშვიდობით, მარეხ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული.

განათლების, ჰუმანიტარულ
და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და ადმინისტრაციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ **დავით ხუციშვილს** მეუღლის

ციცინო ხუციშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახს.

ახალი სახეები უნივერსიტეტის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის საგამოფენო სივრცე კიდევ ორი მხატვრის – ქეთი ტაბახმელაშვილისა და ნათია ზურაბიშვილის ნამუშევრებს დაეთმო. გაზეთის რედაქციამ მათ შესახებ ინფორმაცია მუზეუმის დირექტორის მარიამ ჩიტაშვილისგან მოიპოვა. მხატვრები თავად გვიყვებიან თავიანთ ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე.

ქეთი ტაბახმელაშვილი:

დავიბადე კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში – კარდენახში (გურჯაანის რაიონი) 1973 წელს. ბავშვობიდან მიტაცებდა ხელოვნების სხვადასხვა სფერო. ვხატავდი, ვძერწავდი, ვქსოვდი, ვქმნიდი სხვადასხვა სადღესასწაულო აქსესუარებს.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე თბილისის ქორეოგრაფიის რესპუბლიკური სასახლის უნივერსიტეტში, ქართული ხალხური ცეკვების ფაკულტეტზე. სპეციალობით ვმუშაობდი სკოლაში, საბავშვო ბაღში, კულტურის სახლში.

შვიდი წლის წინ დავიწყე თოჯინების შექმნა, თუმცა, ამის კეთება ყოველთვის მინდოდა. ვქმნი თოჯინებს სხვადასხვა თემაზე. ამ საქმეში მთელ გულსა და სულსა ვდებ მუშაობისას. მიუხედავად სირთულისა, ეს პროცესი უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს.

სწორედ, ამ დიდმა სიყვარულმა ქართული ხალხური ცეკვებისა და ნაციონალური სამოსის მიმართ, განაპირობა ჩემს შემოქმედებაში ეროვნული სამოსით შემოსილი თოჯინების ხაზი.

ჩემი შესაძლებლობა გამოვიყენე იმისთვის, რომ უცხოელებისთვის გამეცნო ჩვენი ქვეყნის კულტურა, ნაციონალური სამოსი.

თოჯინები იყიდება თბილისის სხვადასხვა მაღაზიაში. მათი შეძენის მსურველები, ძირითადად, ტურისტები არიან.

ნათია ზურაბიშვილი:

დავიბადე ქალაქ ბორჯომში,1976 წელს. დავამთავრე ბორჯომის მე-2 საშუალო სკოლა. განსაკუთრებით მიყვარდა ჰუმანიტარული საგნები და ხელოვნება. ბავშვობიდან ვხატავდი, ვძერწავდი, დავდიოდი ვიოლინოზე ბორჯომის სამუსიკო სკოლაში.

ძალიან მიყვარდა პორტრეტებისა და ნატურმორტების ხატვა. სკოლის პერიოდში ჩემი ნახატი სახელწოდებით „თოვლიანი მთები" განთავსებული იყო ბატონ თემურ ვეფხვაძის საგამოფენო დარბაზში. წლების შემდგომ, როდესაც ოჯახი შევქმენი, შევწყვიტე ხატვა, საკმაოდ დიდი ხნით, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში დადგა ის დღე, როდესაც მომეცა შესაძლებლობა, კვლავ ამეღო ფუნჯი ხელში... მივხვდი, რომ ეს იყო ის საქმე, რაც უნდა მეკეთებინა და აღარასოდეს შემეწყვიტა. ასე გავხდი თვითნასწავლი მხატვარი.

მყავს მეუღლე და ორი არაჩვეულებრივი ქალიშვილი. ჩემი ინსპირაციის წყარო ჩემი ოჯახი, სიყვარული, სიკეთე და უბრალოებაა; მათშია ის სილამაზე, რაც ჩემს მიერ შექმნილი თითოეული ნახატიდან შეიგრძნობა.

ამჟამად ვმუშაობ ქალაქ თბილისში. მიხარია, რომ ჩემი ერთ-ერთი ნამუშევარი განთავსდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში.

სტუდენტები დეზინფორმაციის საკითხებზე მსჯელობენ

სუსანა შაქარჯიანი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებში. ამისი ბევრი მაგალითი გვაქვს. ამჯერად, **სუსანა შაქარჯიანისა** და **ქრისტინა კაზარიანის** შესახებ მოგიყვებით.

1 სექემბრიდან 8 ოქტომბრამდე, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და (USAID) საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციამ **„ახალგაზრდები დემოკრატიული ცვლილებებისთვის"**, განახორციელა პროექტი – **„დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავლენის შესამცირებლად"**. იდეის ავტორები გახლავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები – სუსანა შაქარჯიანი და ქრისტინა კაზარიანი, IFES-სა და პროექტის KARE-ს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები.

პროექტის მიზანი იყო დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავლენების მკვეთრი შემცირება, რათა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობა არ გახდეს დეზინფორმაციის მსხვერპლი და დაცული იყოს მეზობელი ქვეყნების მხრიდან პროპგანდის გავლენებისგან.

პროექტის ფარგლებში გაიმართა საინფრმაციო შეხვედრები და მასში ჩართული იყვნენ როგორც ქართველი ეროვნების, ისე უმცირესობების თემთა წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში გამოცხადებული სლოგანებისა და ნახატების კონკურსში გამარჯვება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმაც დაიმსახურეს. მათ გადაეცათ მაღაზია ქსელის – „ზუმერის", სასაჩუქრე ვაუჩერები.

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეთა ჩართულობით, მომზადდა ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა ფეისბუქგვერდზე – **„ის, რაც უნდა იცოდე"**. ასევე, დაიწერა სამი სტატია/ბლოგი, მომზადდა საინფორმაციო მასალები, კერძოდ – ინფოგრაფიკები, რომელიც დაეხმარება მოსახლეობას, ადვილად ამოიცნოს ცრუ და ნამდვილი ინფორმაცია.

პროექტის დასრულებისას, ადგილობრივ რადიოში მომზადდა რადიოგადაცემა, რომლის საშუალებითაც, პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრები – სუსანა და ქრისტინა, მოსახლეობას უზიარებენ ინფორმაციას პროექტის შედეგებზე და მის მთავარ მიზნებზე.

ლიკა ზაზაშვილი

ქრისტინა კაზარიანი

„ეს წლები ჩემთვის იყო ცხოვრების საუკეთესო ხანა“

რუსუდან სუდაძე **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ფარმაცევტის თანაშემწის სპეციალობის კურსდამთავრებულია. თეთრ ხალათზე ბავშვობიდან ოცნებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალციხის სამედიცინო სასწავლებელი ადრეულ წლებში დაამთავრა, ცოდნის გაღრმავებისა და საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიის დაუფლება რეგიონის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაწყვიტა. ამჟამად ევექსის ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში ინფექციის კონტრლის მედდად მუშაობს.**

თავიდანვე აცნობიერებდა, რომ რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიას ირჩევდა. განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა პანდემიის პერიოდი, რადგან სამედიცინო სფეროს დიდი დატვირთვა ხვდა წილად. ქალბატონი რუსუდანი, სწორედ, ინფექციის გავრცელების გზების აღმოფხვრას ემსახურება. საინტერესოა, რა გამოცდილებას გაუზიარებს მკითხველს, რას გვეტყვის, რატომ უნდა აირჩიონ ახალგაზრდებმა პროფსიული განათლების პროგრამები.

– ქალბატონო რუსუდან, გაგვეცანით.

– მე გახლავართ რუსუდან სუდაძე, ქალაქ ახალციხიდან. მყავს მეუღლე და ორი შვილი. ვმუშაობ „ევექსის ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში“ ინფექციის კონტროლის მედდად. მიყვარს შემოქმედებითი საქმე, ჩემს შვილებთან ერთად, დროის საინტერესოდ გატარება და სიახლეების ეპიცენტრში ყოფნა. ჩემთვის პრიორიტეტულია საკუთარი პროფესია.

– ვფიქრობ, რთული და საპასუხისმგებლო პროფესიის წარმომადგენელი ხართ. რამ განაპირობა ამ სფეროზე თქვენი ყურადღების შეჩერება?

– ბუნებრივია, ისევე, როგორც ყველა ახალგაზრდას, მეც წარმოდგენილი მქონდა ჩემი საოცნებო მომავალი. უკვე მოზარდობის ასაკში აღმოვაჩინე, რომ მჭირდებოდა საქმე, რომელშიც მაქსიმალურად სიყვარულით დავიხარჯებოდი. ფიქრი დავიწყე თეთრ ხალათზე. ვაანალიზებდი, რომ ეს დიდ პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა, თუმცა, ეს არ მაშინებდა. მიზანმა გაამართლა – 1997 წელს წარმატებით დავამთავრე „ახალციხის სამედიცინო სასწავლებელის“ სრული კურსი, „მედდის საქმის“ სპეციალობით. მიმაჩნია, რომ წარმატების საიდუმლო მუდმივი მუშაობაა საკუთარ თავზე. ამიტომაც, უნარ-ჩვევების დახვეწისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ორწლიანი კურსის გავლის შემდეგ, 2016 წელს დავამთავრე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ფარმაცევტის თანაშემწის სპეციალობით.

– გვესაუბრეთ სასწავლო პროცესზე. გამართლდა თქვენი მოლოდინი?

– უნივერსიტეტში მსგავსი პროგრამის არსებობა დიდი და მნიშვნელოვანი შანსია ახალგაზრდებისთვის, სწორად რომ დაგეგმონ საკუთარი მომავალი, გადაწყვიტონ, რა არის მათთვის პრიორიტეტული, თანაბარუფლებიან გარემოში რომ გადადგან გაბედული ნაბიჯები.

პირადად მე, ამ პროგრამის დახმარებით, უამრავ გამოწვევას გავუმკლავდი. ყოველჯერზე ვუმტკიცებდი საკუთარ თავს – ესეც შემეძლო. მიმაჩნია, რომ არასდროსაა ზედმეტი ახალი ინფორმაციის მიღება, მეტიც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, შევიძინე არაჩვეულებრივი და საიმედო ადამიანები, მონდომებული და პერსპექტიული მეგობრები. ჩემთვის ეს წლები იყო ცხოვრების ახლად გადაშლილი ფურცელი.

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამის ფარგლებში გატარებული დრო ჩემთვის ძალიან ღირებულია. განსაკუთრებით მსურს გავამახვილო ყურადღება გამოცდილ, პროფესიონალ ლექტორებზე. არასდროს გამჩენია დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება, მუდამ ამომწურავი და მრავალისმომცველი იყო ჩვენი თითოეული შეხვედრა. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი დაუვიწყარი მოგონებები სწორედ უნივერსიტეტს უკავშირდება.

– რას გვეტყვით თქვენი ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.

– როგორც უკვე აღვნიშნე, ვარ ინფექციის კონტროლის მედდა, რაც გულისხმობს კლინიკაში ინფექციის გავრცელების გზების აღმოფხვრასა და პრევენციას. დამეთანხმებით, პანდემიური პერიოდი ყველა სექტორისთვის რთული აღმოჩნდა, თუმცა, სამედიცინო პერსონალისთვის – ბევრად მძიმე და საპასუხისმგებლო. თავდაპირველად, ბუნებრივია, ეს მდგომარეობა სიახლე იყო, ამიტომ თამამი და გაბედული ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო. დაუღალავი შრომის ფონზე, ყველაფერი დასტაბილურდა და კონტროლს დაექვემდებარა. ამჟამად კოვიდპანდემიის არსებობა უდიდესი გამოწვევაა, თუმცა, არა დაუმარცხებელი.

– როგორც დასაქმებული კურსდამთავრებული, რას ეტყოდით აბიტურიენტებს?

– მისასალმებელი და არაჩვეულებრივი ფაქტია, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი ასეთ შანსს აძლევს ახალგაზრდებს. ჩემი აზრით, აუცილებელია პროფესიული კურსების არსებობა უნივერსიტეტში, რათა რეგიონი და, ზოგადად, სახელმწიფო მოერგოს ახალგაზრდების სურვილებს, მისცეს მათ მიზნებს გზა ფართო და არ შეუზღუდოს ფანტაზია, შესაძლებლობები თუ კრეატივი. ეს შანსი ახალგაზრდას გზას უკვალავს სასურველი მომავლისკენ. ამიტომ, ვისაც სურს, მიიღოს პროფესიული განათლება, უნივერსიტეტი შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევს მათ.

ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს, რამეთუ მათ არა მხოლოდ მე, არამედ ასობით ახალგაზრდას აუხდენელი ოცნების ახდენისკენ უდიდესი ნაბიჯი გადაგვადგმევინეს.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

„წიგნების თაროს“ – აზარტის, ძაფჩი ემოციისა და გონებრივი უნარის გამოვლენის უდიდესი შესაძლებლობა

გადაცემაში – „წიგნების თარო“ წელს, უნივერსიტეტის სახელით, მესამედ გამოვედით. შეჯიბრი კვლავ თსუ-ს სტუდენტებისგან შემდგარ გუნდთან – „ჟუგგერნაუტ“-თან მოგვიწია. ჩვენს გუნდში გადახალისება არ ყოფილა. კვლავ მე – **ნატალია ვარდიძემ, თამთა მსხვილიძემ** და **რუსუდან მურვანიძემ** ვითამაშეთ. მხოლოდ გუნდის სახელი **„ტრამალის მგლები“ „ჰურაკანით“** შევცვალეთ. ამ ცვლილებამ სასიკეთოდ იმოქმედა. თამაშის მეორე ნაწილში, ჩვენი გუნდი წინ იყო, თუმცა, 4 ქულით ბლიცში დავმარცხდით.

მიუხედავად მარცხისა, თამაშში მონაწილეობა არცერთი წამით არ გვინანია. პირველ გადაცემაში ჩვენი მონაწილეობის შემდეგ, გამოიკვეთა სამწუხარო ტენდენცია. ჩვენი უნივერსიტეტიდან არავის აქვს თამაშში მონაწილეობის სურვილი. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, რატომ არის ასეთი დაბალი მოტივაცია, თუმცა, ვფიქრობ, ამ წერილში საკუთარი გამოცდილების გაზიარებით და მთელი რიგი დადებითი ამბების მოყოლით, რაც „წიგნების თაროს “ ახლავს, ბევრი შეიცვლის წარმოადგენას და შემდეგ სეზონზე, მინიმუმ, ორი გუნდი მაინც იასპარეზებს ჩვენი უნივერსიტეტის სახელით.

მას შემდეგ, რაც „წიგნების თარომ“ დამოუკიდებელი პროექტის სტატუსი მოიპოვა, სულ უფრო და უფრო ვითარდება და იზრდება. წელს ახალი ეტაპი **– „ქართული რაუნდი“** დაემატა. ამ ნაბიჯით დაიმსხვრა ის წარმოდგენა, რომ „წიგნების თაროში“ მონაწილეობისთვის საკმარისია მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის კითხვა. ეს, უდავოდ, ძალიან მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია.

პირადი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ მსგავს თამაშებში მონაწილეობა შესანიშნავი შესაძლებლობაა ახალი მეგობრებისა და ცოდნის შეძენისათვის. „წიგნების თარო” არის იმ უიშვიათეს პროექტთაგანი, რომელშიც ერთობლივადაა აზარტი, უამრავი მძაფრი ემოცია და გონებრივი უნარის გამოვლენის უდიდესი შესაძლებელობა. ძალიან ბევრი და რთული ეტაპია გასავლელი სცენაზე დადგომამდე, დაწყებული რეგისტრაციით, ახალ გარემოსთან შეგუებით დამთავრებული. დებიუტის შემდეგ, თითოეულ მოთამაშეს უჩნდება საკუთარი თავის რწმენა, იმედი და ამბიცია, გააკეთოს უფრო მეტი, იკითხოს მეტი, გაეცნოს უამრავ სიახლეს, აღმოაჩინოს და შეისწავლოს ბევრი ისეთი რამ, რაზეც აქამდე წარმოდგენაც არ ჰქონია.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ შეიძლება ეკრანიდან სულ სხვაგვარად ჩანდეს, თითქოს „წიგნების თარო“ არის ერთ საათიანი, ან საათნახევრიანი გადაცემა, რომელიც კვირაში სამჯერ გადის და ახალ-ახალ სახეებს აცნობს მაყურებელს. რეალურად, იყო პროექტის მონაწილე, ერთის მხრივ არის „პრივილეგია“, ხოლო მეორე მხრივ – ვალდებულება, იყო ადამიანი, რომელიც სხვა ახალგაზრდებისთვის იქნები მისაბაძი, ღირსეული და, რაც მთავარია, იქნები მოტივაციის წყარო.

ბევრ ადამიანს აქვს ასეთი წარმოდგენა, თითქოს, ვიდრე თამაში დაიწყება, წიგნების სპეციალურ სიას გვაძლევენ, სადაც ის სავარაუდო კითხვები წერია, რომელიც შეიძლება მოვიდეს. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და წინასწარ არც ერთმა მოთამაშემ არ იცის, რა სახის, რა ჟანრისა და რა თემატიკის კითხვები მოვა. ამიტომ, ვკითხულობთ ყველაფერს, ვკითხულობთ ყველა ავტორის ბიოგრაფიას, ვუყურებთ ყველა ფილმს... თითოეული ჩვენგანი ვცდილობთ, მაქსიმალურად კარგად მოვემზადოთ. ზოგიერთი გუნდი ავტორებს ქვეყნების მიხედვით და ფილმებსა და წიგნებს ჟანრის მიხედვით ინაწილებს; ფიზიკურად შეუძლებელია, ყველაფერი იცოდეს და წაკითხული ჰქონდეს ადამიანს, თუმცა, აქ უკვე მცირედი ერუდიცია, ლოგიკური აზროვნება და მეხსიერება ერთვება საქმეში. ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც კითხვაზე პასუხი გაუციათ სხვა ადამიანის მონაყოლის, წლების წინ წაკითხულის ან ანოტაციის გახსენების საფუძველზე. საბოლოოდ, ალბათ, რთულია რაიმე ერთი კონკრეტული მიდგომის თქმა და იმ ოქროს წესის დასახელება, თუ რა არის საჭირო „წიგნების თაროს“ მოსაგებად.

„წიგნების თაროს“ ჰყავს ერთ-ერთი საუკეთესო სტაფი, ძალიან მეგობრული, თბილი ადამიანებით დაკომპლექტებული. მათი უმრავლესობა ყოფილი „თაროელია“. წამყვანზე რა უნდა ვთქვა, არ ვიცი. მას ყველა იცნობს და ყველას უყვარს.

რაც შეეხება „წიგნების თაროში“ მონაწილეობისთვის მზადების პროცესს, წაკითხულ წიგნებს ხშირად განვიხილავთ, ზოგჯერ ცხარე კამათიც კი მოგვდის.

წიგნის კითხვამ მომცა საშუალება, უფრო მეტად დავფიქრდე უმნიშვნელო საკითხებზეც კი, მეტად გავიაზრო და დავაფასო ის, რაც რეალურად არის ჩემს გარშემო, დავაკვირდე დეტალებს და გარშემომყოფებში აღმოვაჩინო ის თვისებები, რაც მათ ყველაზე განსაკუთრებულსა და გამორჩეულს ხდის.

ეს არის პროექტი და წამოწყება, რომელიც ახალგაზრდებს უჩენს მეტ მოტივაციას – იკითხონ, იმსჯელონ, განვითარდნენ, მოუსმინონ ერთმანეთს, პატივი სცენ და დააფასონ ერთმანეთი მაშინაც კი, თუ სრულიად განსხვავებულად ფიქრობენ.

თამაშში მონაწილეობის მისაღებად ყველას თავისი მიზეზი აქვს, ზოგს საკუთარი თავის გამოცდა, მიღებული ცოდნის რეალიზება, ან თუნდაც, წამყვანის გაცნობის სურვილი. და მაინც, ამ თამაშის ყველაზე დიდი ღირებულებაა ის, რომ პროექტი ერთი დიდი და მოსიყვარულე ოჯახია, სადაც ყოველთვის აღმოჩნდება ადამიანი, რომელიც მზად არის, ნებისმიერ რთულ და გამოუვალ სიტუაციაში გვერდით დაგიდგეს და გაგამხნევოს.

ნატალია ვარდიძე
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მე-2 კურსი

უკეთესი მერმისის იმედით...

ლალი ბერიძე
ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელი

გაილია 2021... ბევრი ტკივილისა და სტრესის მომტანი წელი. ამ ბოლო წლების ტრაგიკული განწყობა არათუ გააფერმკრთალა, პირიქით, ყველა გასული წლის ავი გაიმეორა და გაამრავლა... საერთო დაძაბულობა ერთმანეთის გვერდში დგომით ვერ დავძლიეთ, მაგრამ ერთმანეთს გავუიოლეთ ეს მძიმე ყოფა-მეთქი, ამის თქმაც მიჭირს გაბედულად. სახეები ერთმანეთს ენაცვლება – ახლობლები, კოლეგები, თანაქალაქელები, თანამშრომლები... ყველაფერს რომ გადაწონის, ისეთი ყოველდღიური ახალი ამბები... და მაინც, უკვე გაცვეთილი და ტრფფარეტული – „ცხოვრება გრძელდება“ გვაკეთებინებს საქმეს.

ონლაინ სწავლება, მიუხედავად ყველა სიძნელისა, მიმდინარეობს. ვინმე რომ აცდენს, პირველი კითხვაა – ხომ კარგად არის, ხომ არაფერი სჭირს? და მხოლოდ ამის შემდეგ დგება საკითხი ტექნიკური მხრივ არსებული თუ დისციპლინარული სიძნელეების ერთობლივი მოწესრიგებისათვის.

ასეთი პირობების გათვალისწინებით, თუ პირიქით – ამ პირობების შესამსუბუქებლად და იმისთვის, რომ კოლეგებსა და სტუდენტებს რამდენიმე ხნით მაინც გვეფიქრა სულიერ განტვირთვაზე, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა (დეკანის, ასოცირებული პროფესორის გულიკო ბექაურის ინიციატივით), სამეცნიერო ბიბლიოთეკამ და ქართული ლიტერატურის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებმა წლის ბოლოს ორი ლიტერატურული საღამო მოვაწყვეთ.

წელს ხომ სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან ერთად ორი ჩვენი დიდი პოეტის საიუბილეო თარიღი გახლდათ – გალაკტიონის დაბადებიდან 130 და ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 160 წლისთავი შესრულდა.

24 ნოემბერს გაიმართა ლიტერატურული საღამო: გალაკტიონ ტაბიძის „ერთი ლექსის” ანალიზი. ღონისძიება დიდებული პოეტის იუბილეს მიეძღვნა. შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ ფაკულტეტის დეკანი **გულიკო ბექაური** და სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **ლალი ბერიძე.** პროფესორმა **ნესტან სულავამ** წარადგინა პოეტის შემოქმედებიდან საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ლექსის **– „მესტიის ხიდი“,** ანალიზი. თავისი დინჯი, დამაჯერებელი საუბრით და მისეული დაწვრილებითი თხრობით ქალბატონმა ნესტანმა ჩვენ ჯერ ლექსი გაგვაცნო და შემდეგ ისაუბრა სამყაროს თავდაყირად გამოხატვის სხვა მაგალითებზე მსოფლიო ლიტერატურასა და ქართულ ფოლკლორში. გაგვაცნო სვანური ხალხური ლექსი და გაავლო პარალელები გალაკტიონის ლექსთან, რამაც შთამბეჭდავი გავლენა მოახდინა ყველაზე და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა ცხოვრების თავისებურ კანონზომიერებაზე.

ონლაინ შეხვედრას პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. შეხვედრის მონაწილეებმა: ასოცირებულმა პროფესორებმა – **ვახტანგ ინაურმა, მაყვალა დავითაძემ, ნათელა მელიქიძემ** პოეტის მოღვაწეობიდან სხვადასხვა საინტერესო ეპიზოდი გაიხსენეს, წაიკითხეს გალაკტიონის შემოქმედებიდან ამონარიდები, რამაც საღამოს განსაკუთრებული ემოციური ელფერი შესძინა. ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** მოგვითხრო გალაკტიონის შესახებ **ელენე დიდიმამიშვილის მოგონებებზე და მესხეთში პოეტის მოგზაურობის შესახებ**. მან საოცარი ემოცია გამოიწვია გალაქტიონის ლექსის – **„ქარი ჰქრის“** ფრანგული თარგმანის წაკითხვით. ამას მოჰყვა ამავე ლექსის სვანური და მეგრული თარგმანები, რომლებიც ქალბატონმა ნესტან სულავამ წარმოგვიდგინა.

დამსწრეებმა იქვე გამოთქვეს და შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში, პირად მიმოწერაში, მადლიერებას გამოხატავდნენ ამ სასიამოვნო ღონისძიებისათვის.

16 დეკემბერს კი გაიმართა ვაჟა-ფშაველას 160 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება **– „ვაჟა-ფშაველა – 160“,** ულამაზესი და საინტერესო შეხვედრა...

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **ვახტანგ ინაურმა** ისაუბრა სისხლის აღების წესის პარალელებზე ვაჟა -ფშაველას შემოქმედებასა და უცხოურ ლიტერატურაში. ასოცირებულმა პროფესორმა **ქეთევან გრძელიშვილმა** საინტერესოდ ისაუბრა მსოფლიო ლიტერატურული მიმდინარეობების და ვაჟას შემოქმედების შესახებ. მან ხაზი გაუსვა ვაჟას შემოქმედების დიდ მნიშვნელობას თანამედროვე ლიტერატურაში და იმას, რომ ვაჟამ გაუსწრო თავის ეპოქას, აზროვნების მაღალ დონეზე აიყვანა პოეზია.

ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** ისაუბრა თავის კვლევებზე ვაჟას ნაკვალევის შესახებ ჩვენს მხარეში. მან საინტერესო ისტორიული ფაქტები მოიყვანა თავის გამოსვლაში და დამსწრეთ გააცნო ვასილ კოპტონაშვილის მოგონებები ვაჟას შესახებ.

პროფესორმა **ნესტან სულავამ** შეაჯამა ლიტერატურული საღამო და მსმენელთ გაგვაცნო საინტერესო და უცნობი ფაქტები ვაჟას ბიოგრაფიიდან.

რა არის ის ძალა, რაც ახალგაზრდებს ჩვენს დროშიც ანთებს? პედაგოგი, რომელიც არაქართული სკოლის მოსწავლეებს ისე აყვარებს ქართველ მწერლებს, რომ ისინი ვაჟას ხელნაწერ წიგნს კალიგრაფიულად ქარგავენ? **იამზე მსხვილიძემ** და მისმა მოსწავლემ **სათენიკ თათევოსიანმა** წარმოადგინეს საინტერესო მასალა დილისკის საშუალო სკოლაში ქართული ენის სწავლებისა და ვაჟას ხელნაწერი წიგნის შედგენის შესახებ.

აი, ასე... სიკეთე ჰქმნა, დადო საკურთხეველზე, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვეამბოროთ და ვადიდოთ ქართველი მწერალი და გმირი – ვაჟა-ფშაველა.

„მადლობა ყველა მონაწილეს, სტუდენტებს, პედაგოგებს ამ ლამაზი დღისთვის.“ – ეს ჩვენი კურსდამთავრებულის – **ელზა რაისიანის** სიტყვებია და გამოხატავს იმ განწყობას, რაც ამ ღონისძიებამ დატოვა ყველა ჩვენგანში.

ეს იყო საღამო იმ ადამიანის მოსაგონებლად და პატივის მისაგებად, რომელიც თავისი შეხედულებებითა და ღირებულებებით ყველაზე ევროპელი ქართველია და კაცზე, რომელმაც სილაღის, თავისუფლების, ღირსებისა და კაცობის მაგალითებით საკაცობრიო ღირებულებებს გვაზიარა და ამით დაგვაკავალიანა, სწორი გზით რომ გვევლო.

ვაჟასეული სიმართლე იმის შესახებ, თუ რა არის ამქვეყნიური ბედნიერება და თავისუფლება, რატომაა ჩვენი „შინ“ მიტოვებისთვის არგასამეტი და ასეთივე ძვირფასი – მალული და მშვენიერი სიტყვები ამოსაკრეფი და მოსაფერებელი, რატომ უნდა ვაფასებდეთ ღირსეულ მტერსაც კი, რატომ არაა ყოველთვის მტყუანი ინდივიდი, თუნდაც, უკვე ტრადიციული კოლექტივის წინაშე...

ახალი წელი ახლოვდებოდა და, რა თქმა უნდა, საღამოზე ვილაპარაკეთ ვაჟას პუბლიცისტიკაზე. „ჩვენ კაცთა ბუნების წესია მოლოდინი საუკეთესო მერმისისა: უსათუოდ ხვალინდელი დღისაგან მოველით რასმე კარგს: ეს გვასულდგმულებს, გვამხნევებს, ძალას გვმატებს, ყოველდღიურ ვარამს გვინელებს გულში და სიცოცხლესაც გვაყვარებს. კაცი, რომელიც ხვალინდელი დღისგან არაფერს მოელის, გადუწყვეტია იმედი, ცოცხალ-მკვდარია, ის ცოცხლებში ჩასათვლელი არაა... ყოველ მის საქმეს, მოძრაობას და მოქმედებასაც არა აქვს შნო, არა აქვს ლაზათი. იმას არც თავმოყვარეობა აქვს, არც სხვის სიყვარული შეუძლიან, არც საქმისა, აკლია მხნეობა. ეგრეთვე თუ ერი, როგორც კრებული ადამიანთა. საწყალია ის ერი, რომელსაც დაუკარგავ იმედი ხვალინდელი დღისა, საუკეთესო მერმისისა.“

ამ სიტყვებით გვინდა ვუსურვოთ ჩვენს თავს, ჩვენს ქვეყანას უკეთესი მერმისის იმედი.

ჩარლი ჩაპლინის წერილი ქალიშვილს – ჯერალდინას

ჩემო გოგონა! ახლა ღამეა. შობა ღამე. ჩემს პატარა ციხესიმაგრეში ყველა უაბჯრო მეციხოვნემ ძილს მისცა თავი. სძინავს შენს და-ძმას. დედაშენსაც კი ჩაეძინა. შენ ისე შორს ხარ ჩემგან... მაგრამ დაე, თვალისჩინი წამერთვას, თუ ახლაც, ამ წუთს, შენს სურათს არ ვუმზერდე. ის აქ არის, მაგიდაზე, ჩემს გულთან ახლოს. შენ კი სადა ხარ? შორს, ზღაპრულ პარიზში. ელისეს მინდვრების თეატრში. დიდებულ სცენაზე ცეკვავ.

ხომ კარგად ვიცი ეს, მაგრამ მაინც, წყნარი ღამის მდუმარებაში თითქოს ცხადად ჩამესმის შენი ნაბიჯების ხმა. ვხედავ შენს თვალებს, ზამთრის ცაზე გაბნეული ვარსკვლავებივით რომ კიაფობენ. ვიცი, ამ ღამაზ სპექტაკლში ხანისგან დატყვევებული სპარსელი მზეთუნახავის როლს ასრულებ. იყავი მზეთუნახავი და იცეკვე. იყავი ვარსკვლავი და იკაშკაშე. მაგრამ თუკი მაყურებლის მადლობამ და აღტაცებამ დაგათროს, თუ მორთმეული ყვავილების სურნელებამ თავბრუ დაგასხას, განმარტოვდი სადმე კუთხეში და ჩემი წერილი წაიკითხე, ყური მიუგდე მამაშენის ხმას.

მე მამაშენი ვარ, ჯერალდინა! მე ჩარლი ჩაპლინი ვარ, ჩარლი ჩაპლინი! იცი კი, რამდენჯერ დამთენებია შენს სასთუმალთან? სულ პაწიას ზღაპრებს გიყვებოდი! ხან მძინარი მზეთუნახავისას, ხან ბოროტი გველეშაპისას. ხოლო როცა ჩემს ბებერ თვალებს ძილი წამოეპარებოდა, დავცინოდი მას და ასე ვეუბნებოდი: გამშორდი! მე ჩემი გოგოს ოცნებები მეზმანებიან!

მე ვხედავდი შენს ოცნებებს, ჯერალდინა. ვხედავდი შენს მომავალს, შენს დღევანდელ დღეს! ვხედავდი სცენაზე მოცეკვავე ასულს, ცაზე მოფარფატე ფერიას. მესმოდა, როგორ ლაპარაკობდნენ ხალხში: ხედავთ ამ გოგონას? ერთი ბებერი კლოუნის ქალიშვილია. არ გახსოვთ, ჩარლის რომ ეძახდნენ?

ჰო, მე ჩარლი ვარ, ბებერი მასხარა. დღეს შენი ჯერია. იცეკვე! მე ფართხუნა, დაკონკილი შარვლით ვცეკვავდი, შენ პრინცესას აბრეშუმის სამოსი გმოსავს. ეგ ცეკვა და ტაშის გრიალი დროდადრო ცაში აგტყორცნის. გაფრინდი, გაფრინდი იქით... მაგრამ ხანდახან მიწაზეც დაეშვი! შენ უნდა ნახო ხალხის ცხოვრება – ცხოვრება იმ ქუჩის მოცეკვავეებისა, შიმშილისაგან დაოსებულნი, სიცივითა და სიღატაკით ათრთოლებულნი რომ როკავენ! მათი ხვედრი მეც მიწვნევია, ჯერალდინა. იმ ჯადოსნურ ღამეებში, შენ რომ ჩემს ზღაპრებთან იძინებდი, მე არ მეძინა. დავყურებდი შენს საყვარელ სახეს, ვუსმენდი შენი გულისფეთქვას და ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ჩარლი, ნუთუ ეს ღლაპი შენ ოდესმე გაგიცნობს?”

შენ მე არ მიცნობ, ჯერალდინა... იმ შორეულ ღამეებში უამრავ ზღაპარს გიყვებოდი, მაგრამ ჩემი ზღაპარი არასოდეს მიამბია. ისიც ძალიან საინტერესო ზღაპარია, ჯერალდინა. ზღაპარი მშიერი მასხარისა, ლონდონის ღატაკთა კვარტალებში რომ მღეროდა და ცეკვავდა, მერე კი, მოწყალებას აგროვებდა! აი, ჩემი ზღაპარი!

მე ვიცი, რა არის შიმშილი, ვიცი, რას ნიშნავს უსახლკარობა! ეგ კიდევ რაა, მე გამოვცადე დამამცირებელი ტკივილი მოხეტიალე მასხარისა, რომლის მკერდში მობობოქრე სიამაყის ოკეანე სამოწყალოდ გადაგდებულ მონეტებს უნდა დაეშრო. მაგრამ მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, ცოცხალი ვარ, ცოცხლებზე კი მუდამ ცოტას ლაპარაკობენ.

შენ ჩემი გვარისა ხარ – ჩაპლინი! ლამის ნახევარი საუკუნე ეს გვარი მთელ დედამიწას აცინებდა. მაგრამ ის სიცილი რაა იმასთან, რაც მე მიტირია, ჯერალდინა?! სამყარო, სადაც შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვის და მუსიკის საუფლო როდია!

ჯერალდინა! შუაღამისას იმ დიდებული დარბაზიდან რომ გამოხვალ, დაივიწყე შენი მდიდარი თაყვანისმცემლები, მაგრამ არ დაგავიწყდეს, ტაქსის მძღოლს ცოლის ამბავი გამოჰკითხო. შეიძლება, ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს და იმის ფულიც არა აქვთ, რომ თავიანთი პირმშოსთვის სახვევები იყიდონ. თუ ასეა, ადექი და ჩაუდე ფული ჯიბეში.

მე ბანკში ნათქვამი მაქვს, რომ ეს ხარჯები გაგისტუმრონ. სხვას კი მუდამ ყველას ზუსტად გადაუხადე! დროდადრო მეტროში ჩადი. ქალაქი დაათვალიერე, იარე ფეხით ან ავტობუსით. ხალხს დააკვირდი! ქვრივ-ობლებს შეხედე და თუნდაც დღეში ერთხელ მაინც შენს თავს უთხარი: „მეც ერთ-ერთი ამათგანი ვარ!” დიახ, შენ ერთ-ერთი იმათგანი ხარ, ჩემო გოგონა. ხელოვნება, სანამ ცაში ასაფრენად ფრთებს უბოძებდეს ადამიანს, ჯერ ფეხებში ურტყამს.

როცა დადგება წამი და იგრძნობ, როგორ მაღლდები მაყურებელზე, მაშინვე გადი სცენიდან. პირველივე ტაქსი დაიჭირე და პარიზის გარეუბნებს მიაშურე. მე კარგად ვიცნობ ამ უბნებს. იქ იხილავ მოცეკვავე ქალიშვილებს – შენს მსგავსთ, შენზე უფრო გრაციოზულებს, შენზე ამაყებს.

შენი თეატრის პროჟექტორების თვალისმომჭრელ ელვარებას იქ ვერსად ნახავ! მათი სცენის პროჟექტორი მთვარეა. დააკვირდი, აბა, კარგად დააკვირდი: შენზე უკეთ ხომ არ ცეკვავენ? გამოტყდი, ჩემო გოგონა. ცოტას როდი შეხვდები ისეთს, ვინც შენზე უკეთ ცეკვავს, ვინც შენზე კარგად თამაშობს. და ეს გახსოვდეს: ჩარლის ოჯახში არასოდეს ყოფილა ვინმე ისეთი ხეპრე, რომ მეეტლისათვის უკმეხი სიტყვა ეთქვას ან სენის სანაპიროზე მჯდარი მათხოვრისთვის დაეცინოს...

ჩარლი წავა, ჯერალდინა და შენ იცოცხლებ... მე არ მინდა, ოდესმე სიღატაკე გამოსცადო. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩეკის წიგნაკს – ხარჯე, რამდენსაც მოისურვებ, ოღონდ გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, მესამე მონეტა ჩემი არ არისთქო. იგი ეკუთვნის ვინმე სხვას, უცნობს, ვისაც ის ერთი ფრანკიც სანატრელი აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება. საკმარისია, მოინდომო და ამ უცნობ ღატაკებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავ.

ჯერალდინა, მე დიდხანს გამოვდიოდი ცირკში და მუდამ შიშით შევცქეროდი ბაგირზე ასულ ჯამბაზებს, მაგრამ აი, რა მინდა გითხრა, ჩემო გოგონა – ადამიანს ძირს, მყარ მიწაზე უფრო ადვილად შეიძლება ფეხი დაუცდეს, ვიდრე ჯამბაზს იმ ვერაგ თოკზე.

შეიძლება ამ საღამოს თვალი მოგტაცოს რომელიმე ბრილიანტის ელვარებამ და მაშინ შენი დაცემა გარდაუვალია. შეიძლება, დადგეს დღე და უცხო პრინცის მშვენიერმა სახემ დაგატყვევოს. იმ წუთიდან შენ უცადი მუშაითი ხარ, გამოუცდელებს კი ბაგირი მუდამ ღალატობს.

ნუ გაყიდი შენს გულს ოქროსა და სამკაულისთვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენდა საბედნიეროდ, ყველას ერთიანად დაგვნათის, ხოლო როცა ჟამი დაჰკრავს და სიყვარული გეწვევა, გულით შეიყვარე შენი რჩეული. სამუშაო ძნელი გაქვს, ვიცი... სხეულს სიფრიფანა აბრეშუმის ნაჭერი გიფარავს. ხელოვნების სახელით სცენაზე შეიძლება შიშველიც გამოხვიდე, მაგრამ იქიდან კიდევ უფრო უმწიკვლო და შემოსილი უნდა დაბრუნდე...

მე ბებერი ვარ და ჩემი სიტყვები შეიძლება სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ მაინც, ასე მგონია, შენი შიშველი სხეული იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც შენს გაშიშვლებულ სულს შეიყვარებს. რა ვუყოთ მერე, თუ ჩემი შეხედულება ამ საკითხზე მოძველებული გამოჩნდება, თუ ასე ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ფიქრობდნენ. ნუ გეშინია, ეგ ათი წელი ვერ დაგაბერებს... ჯერალდინა, მე მინდა, რომ შენ ამ შიშველთა კუნძულის უკანასკნელი ქვეშევრდომი იყო.

მე ვიცი, მამებს და შვილებს ნიადაგ ბრძოლა აქვთ ერთმანეთში. მეომე, ჩემო გოგონა, ჩემს აზრებს ეომე. მე არ მიყვარს მორჩილი შვილები. და ვიდრე ამ ბარათს ჩემი ცრემლი არ დასდენია, მინდა მჯეროდეს, რომ ეს შობაღამე სასნაულების ღამეა. მინდა მოხდეს სასნაული და შენ მართლა გაიგო ყველაფერი, ყველაფერი, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა.

ჩარლი დაბერდა, ჯერალდინა! ადრე თუ გვიან თეთრი სასცენო კაბის მაგიერ შავებში უნდა გამოეწყო და ჩემს საფლავზე მოხვიდე. ახლა არ მინდა, გული გატკინო, მაგრამ ხანდახან სარკეში ჩაიხედე – იქ მე დამინახავ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მე მინდა, რომ მაშინაც კი, როცა ჩემს ძარღვებში სისხლი დინებას შეწყვეტს, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი.

მე ანგელოზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენც. გკოცნი, ჯერალდინა...

შენი ჩარლი

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge